განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი
თანათავმჯდომარე: მოჰამედ ჰუსამალდინ აჰმედ ჰამდი ალსაიედი, დუბაის სამედიცინო უნივერსიტეტი, არაბთა გაერთიანებული საამიროები

წევრები:

ლევან ჯაყელი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ირინე ფხაკაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ნინო ჯოლია, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
დავით ტეფნაძე, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2025

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი არის არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც დაარსდა 2013 წელს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შვიდი სკოლა (სამართლის, ბიზნესის და გამოყენებითი მეცნიერებების, პოლიტიკის და დიპლომატიის, მედიცინის, სტომატოლოგიის, განათლების, მედიის და კომუნიკაციის სკოლები) და ახორციელებს სხვადასხვა საფეხურის 20 საგანმანათლებლო პროგრამას (რვა საბაკალავრო, ხუთი სამაგისტრო, ერთი ერთსაფეხურიანი, ერთი დიპლომირებული მედიკოსის, ხუთი სადოქტორო პროგრამა). აღნიშნული პროგრამებიდან 18 აკრედიტებულია. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტების საერთო რაოდენობაა 2626, მათგან სტატუსი შეჩერებული აქვს 851 სტუდენტს. სტუდენტების უმეტესობა სწავლობს მედიცინის პროგრამაზე (ჯამში 1790, მათგან სტატუსი შეჩერებული აქვს 448 სტუდენტს). აქტიური სტატუსის მქონე უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობაა 2401, საიდანაც 620 სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი.
სტუდენტთა კონტინგენტი გამოირჩევა მაღალი ინტერნაციონალიზაციით. უნივერსიტეტს ჰყავს 2401 უცხოელი სტუდენტი 90-ზე მეტი ქვეყნიდან. პროგრამები ხორციელდება ინგლისურ და ქართულ ენაზე.
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 254, უნივერსიტეტის თანამშრომლების საერთო რაოდენობაა 650. აფილირებული პერსონალის საერთო რაოდენობაა 206, მათ შორის არის 107 პროფესორი, 69 ასოცირებული პროფესორი, ერთი ასისტენტ-პროფესორი და 29 ასისტენტი.
რაც შეეხება კვლევას, უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ლაბორატორიები, მათ შორის კარლ ცაისის მიკროსკოპიის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი, ბიომედიცინის და ჰემატოლოგიის კვლევითი ლაბორატორიები, სისხლის ბანკი, გენეტიკის კვლევითი ცენტრი. უნივერსიტეტი ასევე ატარებს ფეხბურთთან დაკავშირებულ კვლევებს, მათ შორის სწავლობს ფეხბურთის სოციალურ ასპექტებს.
უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 69 925 000 ლარს, კვლევისთვის გამოყოფილია 30 000 000 ლარი (თუმცა აღნიშნული მოიცავს განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებსაც).
ზოგადად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს კარგი ინფრასტრუქტურა და შესაძლებლობები, რაც სწავლება-სწავლისათვის და კვლევისთვის უზრუნველყოფს სათანადო პირობებს.
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ მას შემდეგ მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი, საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ვიზიტი ჩატარდა 2025 წლის 7-11 ივლისს. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომელიც უსდ-ს მხრიდან დროულად იქნა მოწოდებული. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა

შესაძლებლობა შეხვედროდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობა, ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, სწავლების მართვის სისტემა და სხვა რესურსები. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს საავადმყოფო და მედიცინის პროგრამის სხვა კლინიკური ბაზები.
ექსპერტთა ჯგუფი გულწრფელ მადლობას უხდის ყველა მონაწილეს თანამშრომლობისთვის და ვიზიტის ფარგლებში, გასაუბრებებში მონაწილეობისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1.რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განხორციელების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (ხარისხის კულტურის კომიტეტი) ჰყავდეს ხელმძღვანელი/უფროსი;

2. რეკომენდებულია, ინჟინერიის მენეჯმენტის პროგრამა შეესაბამებოდეს მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელს და სპეციალობის საგნებს დაემატოს მარკეტინგი, პროექტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს გარემო, რისკები, მიწოდების ჯაჭვი/ლოგისტიკა და ორგანიზაციული მართვა;

3. რეკომენდებულია, მედიცინის პროგრამის სასწავლო კურსებში კვლევის მეთოდოლოგია I და კვლევის მეთოდოლოგია II (მათ შორის ბიოსტატისტიკა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა), კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და შესაბამისად გაიზარდოს განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;

4. რეკომენდებულია, გაიზარდოს საბოლოო გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, განსაკუთრებით კლინიკურ საგნებში, რათა კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ კლინიკური პრაქტიკისა და პაციენტის უსაფრთხოებისთვის საჭირო სტანდარტები;

5. რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კლინიკური უნარების შეფასებას OSCE გამოცდის საშუალებით, ასევე, საგამოცდო სადგურებისთვის უნდა განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და გაუმჯობესდეს დროის მართვაც, რადგან ზოგიერთ სილაბუსში OSCE გამოცდისთვის 30 წუთია განსაზღვრული;

6. რეკომენდებულია, ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამაში გაიზარდოს ფინანსების და დაზღვევის, პროექტების მართვის და ჯანდაცვის ახალი ტექნოლოგიების შინაარსი;

7. რეკომენდებულია, პროგრამების სასწავლო გეგმებში აისახოს პროგრამის წინაპირობები;

8. რეკომენდებულია, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს (მედიცინის პროგრამის გარდა) დაემატოს ქართული ენის სწავლების სავალდებულო კომპონენტი;

9. რეკომენდებულია, კვლევითი უნარებისა და ეთიკის შესახებ რეგულარული ტრენინგების შეთავაზება;

10. რეკომენდებულია, ყველა პროგრამის სასწავლო გეგმას თან დაერთოს სწავლების შედეგების მიღწევის დონის რუკა მისი კომპონენტების მიხედვით;

11. რეკომენდებულია, თითოეულ პროგრამას თან დაერთოს პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულების საფუძველზე;

12. რეკომენდებულია, ბიზნესის (ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის გარდა), მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლების პროგრამებზე დეტალურად განიმარტოს შეფასების ქულები;

13. რეკომენდებულია, გადაიხედოს და გადამუშავდეს სასწავლო კურსების სილაბუსები და პროგრამის აღწერასა და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განისაზღვროს საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და სიცხადე;

14.რეკომენდებულია, გაგრძელდეს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტების დახვეწა (მაგალითად, კმაყოფილების კვლევებისა და დატვირთვის მონიტორინგის მეშვეობით). მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დატვირთვის განაწილება კარგად არის სტრუქტურირებული, აღნიშნულის საშუალებით, უფრო უკეთ იქნება შესაძლებელი პოტენციური დისბალანსის წინასწარ გამოვლენა და რესურსების ოპტიმიზება აკადემიურ ერთეულებში;

15.რეკომენდებულია, პერიოდულად განხორციელდეს კვლევითი ერთეულების ზეგავლენის შეფასება;

16. რეკომენდებულია, დაზუსტდეს ადმინისტრაციის დებულების მე - 6 თავის, 41-ე მუხლი იმისათვის, რომ უფრო დეტალურად დარეგულირდეს ბიუჯეტის შედგენის, კონტროლის/მონიტორინგის და გამჭვირვალობის საკითხები;

17. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ფინანსური აუდიტის შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობა.

რჩევები

- სასურველია, მარეგულირებელ დოკუმენტებში მიეთითოს, რომ სულ მცირე ერთი საერთაშორისო სტუდენტი უნდა მონაწილეობდეს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კომიტეტების საქმიანობაში, არჩეული წარმომადგენლის სახით;
- სასურველია, "საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში" აღინიშნოს, რომ დოკუმენტი არეგულირებს აღმასრულებელი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას და მონიტორინგს;

- სასურველია, ინოვაციების მენეჯმენტის აღმასრულებელ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გაიზარდოს კვალიფიკაციის განმსაზღვრელი კომპონენტების საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- სასურველია, დაკორექტირდეს ქართული ენის სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება და გაიზარდოს პროგრამის მეორე სასწავლო წელს ქართული ენის კურსების სწავლება, ვინაიდან სასწავლო კურსები ქართული ენა 1 და 2, რომლებიც ჯამში მოიცავენ 12 კრედიტს არ არის საკმარისი ქართულენოვან პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის;
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს კონკრეტული კომპეტენციის სფეროებს, ვინაიდან აღნიშნული უზრუნველყოფს მეტ სიცხადეს და აქტუალობას ვიდრე ცოდნის, უნარების და პროფესიული დამოკიდებულების შესაბამისობა ზოგად სფეროებთან. კარგად განსაზღვრული კომპეტენციების სფეროები უფრო ეფექტურად იქნება დაკავშირებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეაფასოს სტუდენტები თავიანთ მიმართულებაში პირველი წლის დასაწყისში და გაუწიოს დამატებითი მხარდაჭერა ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც მათ საშუალებას მისცემს უსაფრთხოდ გააგრძელონ სწავლა პირველ წელს. აღნიშნული მიდგომა დადებითად იმოქმედოს სტუდენტების შენარჩუნებაზე და შეამცირებს გადინების მაჩვენებელს;
- სასურველია, ჩატარდეს უცხოელი კურსდამთავრებულების გამოკითხვა საზღვარგარეთ დასაქმების მაჩვენებლის დასადგენად და ამ და სხვა რელევანტური შედეგების წარმოდგენა;
- სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს პერსონალის ცნობიერება პერსონალური განვითარების გეგმის (PDP) შესახებ და განიხილოს სტრუქტურირებული და მოქნილი შემდგომი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც განვითარების პერსონალიზებულ ტრაექტორიებს დაუჭერს მხარს. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ინდივიდუალურ განვითარებასა და ინსტიტუციის სტრატეგიულ მიზნებს შორის თანხვედრას;
- სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით, სასურველია, ჯანდაცვის პროფესიის განათლებაზე სპეციალიზებული ერთეულის ან აღნიშნულზე კონცენტრირებული პუნქტის შექმნის შესაძლებლობის განხილვა. ასეთი სტრუქტურა სასარგებლო იქნებოდა პერსონალის განვითარების მიზნობრივი მხარდაჭერისათვისს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კლინიკური სწავლება, კურიკულუმის დიზაინი, შეფასება, ხელმძღვანელობა და პროგრამის შეფასება;
- სასურველია, დაწესებულებამ მხარი დაუჭიროს აკადემიურ პერსონალს ჯანდაცვის პროფესიის განათლების მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციების მიღებაში (მაგალითად, დიპლომისშემდეგი სერტიფიკატი ან მაგისტრის ხარისხი), რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სწავლების ხარისხს და აკადემიური ლიდერობის პოტენციალს;
- სასურველია, გაგრძელდეს პერსონალის განვითარების პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფაზე, ინსტიტუციურ ეფექტურობასა და სწავლების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მეთოდებზე, განსაკუთრებით პროგრამების ხელმძღვანელებისა და აკადემიური კოორდინატორებისათვის;
- სასურველია, NVU-მ განიხილოს თავისი პერსონალის მართვის ჩარჩოს კიდევ უფრო მეტად დაახლოება დარგობრივ მახასიათებლებთან, ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, სპეციფიური მოთხოვნების ჩართვით, განსაკუთრებით სამედიცინო

სფეროში. ეს შეიძლება მოიცავდეს მედიცინის მიმართულებით აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების შეთავაზებას სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში მინიმუმ ორი წელიწადში ერთხელ;

- სასურველია, NVU-მ, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის, განიხილოს სტრუქტურირებული კონცეფციისა და გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომლის აქცენტიც იქნება სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი და სტუდენტთა შედეგები;
- სასურველია, სამუშაო დატვირთვის დაგეგმვის სისტემის შემდგომი გაძლიერება, ინდივიდუალური აკადემიური დატვირთვის რეგულარული გადახედვისა და კორექტირების მექანიზმების გაძლიერებით, ასევე მიმდინარე ინსტიტუციური საჭიროებების, პროგრამული მოთხოვნებისა და პერსონალის უკუკავშირის გათვალისწინებით;
- სასურველია, გაძლიერდეს კურსდამთავრებულებთან კავშირები და ისინი მეტად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა პროცესებში;
- სასურველია, შემუშავდეს კვლევების განხორციელების დარგობრივი სახელმძღვანელოები, რათა კვლევითი საქმიანობა ეროვნული და საერთაშორისო პრიორიტეტების შესაბამისი იყოს;
- სასურველია, საერთაშორისო თანახელმძღვანელობისა და ერთობლივი კვლევების წახალისება, სადოქტორო ხარისხისა და გლობალური ინტეგრაციის გასაძლიერებლად.
- სასურველია, ახალი პროფესორ-მასწავლებლებისათვის შემუშავდეს მენტორობისა და სამუშაო ადგილზე ადაპტირების პროგრამები;
- სასურველია შეიქმნას ერთობლივი კვლევითი პროგრამები და ორმაგი სადოქტორო ხარისხის ხელშეკრულებები უცხოურ უნივერსიტეტებთან;
- სასურველია, კვლევითი შედეგებისა და საუკეთესო პრაქტიკების ხილვადობის მეტად ხელშეწყობა;
- სასურველია, აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერსონალთან და სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაემატოს ჩანაწერი / მუხლი აკადემიური თავისუფლების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკები

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის არაერთი აქტივობა მიმართულია საზოგადოების განვითარებასა და მის ჩართულობაზე.
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაში	მეტწილად შესაბამისობაში	ნაწილობრივ შესაბამისობაში	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მისიაა ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით. უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდს, დახვეწოს და გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების საკეთილდღეოდ. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას და ქმნის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს სტუდენტებისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან (თვითშეფასების ანგარიში, გვ.11). მისიაში ხაზგასმულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამი მთავარი საყრდენი (სწავლება/სწავლა, კვლევა და საზოგადოების ჩართულობა). უსდ-ს მისია განსაზღვრავს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს როლს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. მასში გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი საზოგადოების აქტიური წევრების ჩამოყალიბებაში, ცოდნის შექმნასა და გავრცელებაში, სტუდენტების პირადი განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში. გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ მისია გაზიარებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ. უსდ-ს მისია მკაფიოდ შეესაბამება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხედვას, რომლის თანახმად უნივერსიტეტი ქმნის ღია, ინოვაციურ და თანამშრომლობით გარემოს, რათა სტუდენტთა ჩართულობით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. თანაბარი ხელმისაწვდომობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების მქონე სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს და ქმნის უწყვეტი სწავლის შესაძლებლობებს. სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოსა და ბიზნესის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის მიზანია ცოდნისა და ინოვაციების გავრცელება ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებაში. ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნის პასუხისმგებლობის გაზიარების მიზნით, უნივერსიტეტი ახალისებს გარემოსდაცვით განათლებას საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით და მის დასაცავად ერთობლივი მოქმედებისათვის. ახალი ცოდნის შექმნითა და გავრცელებით, ასევე, კვალიფიციური კადრების მომზადებით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლასა და მდგრადობას (თვითშეფასების ანგარიში, გვ.11).

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი მკაფიოდ აღნიშნავს თავის ღირებულებებსა და გაზიარებულ მიდგომებს, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას, კვლევას, პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრას, მრავალფეროვნებას, ეფექტურობას, თანასწორობას, სამართლიანობას, ეთიკურ ლიდერობას, თავისუფლებას, ინოვაციას, ინტეგრაციას, კეთილსინდისიერებას, ღიაობას, პროფესიონალიზმს, საზოგადოებრივ ჩართულობას, უსაფრთხოებას და სოციალურ ჩართულობას. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ აღნიშნული ღირებულებები და მიდგომები დანერგილია ნიუ ვიჯენ უნივერსიტეტში სწავლების სხვადასხვა დონეზე და მიმართულებით.
ასევე, უსდ-ს მისია მკაფიოდ არის დაკავშირებული ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებ - გვერდი.

რეკომენდაციები:

არ არის წარმოდგენილი

რჩევები:

არ არის წარმოდგენილი

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის წარმოდგენილი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2025-2031 სტრატეგიული განვითარების და 2025-2027 სამოქმედო გეგმები და ახორციელებს მათ.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ხუთ სტრატეგიულ და ოთხ მათთან დაკავშირებულ პრიორიტეტს. სტრატეგიული პრიორიტეტებია: განათლება, რომელიც შთააგონებს, კვლევა, რომელიც შთააგონებს, კამპუსის გამოცდილება, რომელიც შთააგონებს, ჩართულობა და თანამშრომლობა, რომელიც შთააგონებს და ინსტიტუციური ლიდერობა და განვითარება, რომელიც შთააგონებს. პრიორიტეტებია: ხარისხის კულტურას, ინტერნაციონალიზაცია, საზოგადოებრივი კეთილდღეობა და მდგრადობა და რესურსების განვითარება.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მისია და ხედვა დაკავშირებულია სტრატეგიულ გეგმასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია აღწერილია „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში. სტრატეგიული განვითარების და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კოლეგიალური მართვის ორგანოა, რომელიც შექმნილია შესაბამისი აქტივობების მხარდასაჭერად. კომიტეტი ჩართულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებაში, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების და სტრატეგიული განვითარების, ან/და სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადებაში, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების სათანადო გავრცელებასა და გაზიარებაში. კომიტეტი ასევე კოორდინირებას უწევს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მხარდაჭერას.

გასაუბრების დროს გარკვეულწილად დადასტურდა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მონაწილეობითი ხასიათი.

სამოქმედო გეგმა კარგად შემუშავებული დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ხუთივე სტრატეგიულ პრიორიტეტს და უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მკაფიოდ აერთიანებს მთავარ ასპექტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია დაწესებულების ფუნქციონირებისთვის. სამოქმედო გეგმა დეტალურად აღწერს სამომავლო აქტივობებს, მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებელ ერთეულებს, სტრატეგიულ შედეგებს, შესრულების ინდიკატორებს და ვადებს, ბიუჯეტს და მათთან დაკავშირებულ პრიორიტეტებს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის.

დასტურდება, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ განვითარებაში, საზოგადოებას უზიარებს დაწესებულებაში დაგროვილ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს იურიდიული სერვისების ხელმისაწვდომობას, ფეხბურთის მეშვეობით საზოგადოების გაჯანსაღებას, სისხლის უანგარო დონაციის აქტივობებს, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სკოლების მხარდაჭერას მდგრადი პროექტების შემუშავებაში და განხორციელებაში, მოსწავლეებისთვის პრაქტიკული სამართლის და უნარ - ჩვევების კლინიკის შეთავაზებას და სხვა.

წინა სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2024) ასახული იყო სამოქმედო გეგმებში. ბოლო სამოქმედო გეგმა 2021-2024 მოიცავდა 10 სტრატეგიულ პრიორიტეტს და ინდივიდუალური მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრული იყო აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და სტრატეგიული შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დაკავშირებულია ამჟამინდელ გეგმებთან (2025 წლის შემდგომი პერიოდი).

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ის ასევე მკაფიოდ ეხება სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ შესრულების ინდიკატორებს, პროგრესის შუალედურ და წლიურ ანგარიშგებას, მონიტორინგის და შეფასების მონაცემებზე დაფუძნებულ შესაძლო

ცვლილებებს, სამოქმედო გეგმის განხორციელების საბოლოო ანგარიშს (სამი წლის შემდეგ), ცალკეული ერთეულების პასუხისმგებლობებს. აღნიშნულ კონტექსტში განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტის და აკადემიური საბჭოს როლი. გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგები გამოიყენება შემდგომი ქმედებების დასაგეგმად. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი თავის ვებ - გვერდზე აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს, რომლებიც ასახავენ განვითარების მიზნით განხორციელებულ ცვლილებებს და ძირითად მონაცემებს. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის 2019 – 2025 წლების ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმაში გამოვლენილია უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, განსაზღვრულია აღნიშნულ რისკებთან გამკლავების გზები, პრევენციული ღონისძიებები და პასუხისმგებელი ერთეულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • სტრატეგიული გეგმა 2025-2031; • სამოქმედო გეგმა 2025-2027; • გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: **არ არის წარმოდგენილი**
რჩევები: **არ არის წარმოდგენილი**
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის არაერთი აქტივობა მიმართულია საზოგადოების განვითარებასა და მის ჩართულობაზე.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნების და აქტივობების განსახორციელებლად უნივერსიტეტს აქვს ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც ასევე მოიცავს კოლეგიალური მართვის ორგანოებსაც (https://newvision.ge/en/page/1-vision/structure/). კოლეგიალური მართვის ორგანოებია აკადემიურ საბჭო, სკოლის საბჭოები, ხარისხის კულტურის, კვლევისა და ინოვაციების, სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტური ცხოვრების, ფინანსური და საოპერაციო, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ციფრული ტრანსფორმაციების, იურიდიულ და საზოგადოებასთან ურთიერთობების კომიტეტები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურა ასევე მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობების და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ცენტრებს. ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა წარმოადგინა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების, როგორიცაა დეპარტამენტები, ცენტრები, სამსახურები და სხვა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური კოორდინაცია/დაქვემდებარება (იხ. დიაგრამა 2.1.1). უნივერსიტეტის სტრუქტურა ეფუძნება კოლეგიალური მართვის სისტემას, რომელიც ხორციელდება მულტიდისციპლინარული კომიტეტების საშუალებით. თითოეულ კომიტეტს ხელმძღვანელობს უფროსი და შედგება შესაბამისი სამსახურების, სკოლების და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ აქტივობების ორგანიზაციულ დაგეგმვას.

დიაგრამა N 2.1.1 უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა



2023 წლამდე ადმინისტრაციულ ფუნქციებს და ზედამხედველობას ძირითადად ახორციელებდა კანცლერი, წარმომადგენლობითი საბჭოს მეშვეობით. განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, კანცლერის ვალდებულებები გადანაწილდა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე, რომლებიც ამჟამად ანგარიშვალდებულნი არიან აკადემიური საბჭოს და რექტორის წინაშე. წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურის, მარეგულირებელი დოკუმენტების და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დასტურდება, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმებში განსაზღვრული აქტივობების ეფექტურ განხორციელებას და დასახული მიზნების მიღწევას.

უნივერსიტეტის წესდებაში განსაზღვრულია უნივერსიტეტის ძირითადი მართვის ორგანოები და მათი ფუნქციების განაწილება. აკადემიური საბჭო და ძირითადი საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეული - სკოლის საბჭოები თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ როგორც პირდაპირ, ისე დროებითი ან მუდმივი კომისიების მეშვეობით. უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში (წესდება,

ადმინისტრაციის დებულება, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება და სხვ.) მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამიჯნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია - მოვალეობები. ვიზიტის დროს, უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების სუბიექტების/პერსონალის ფუნქცია - მოვალეობების ნუსხა (სამუშაო აღწერილობები). ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პერსონალი ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის ნებისმიერ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ინიშნება ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე, პოზიციის სპეციფიკის გათვალისწინებით. კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის ფორმატის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები მიუთითებს იმაზე, რომ სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია - მოვალეობები განსაზღვრული და გამიჯნულია. არ იკვეთება ფუნქციების გადაფარვები.

ადმინისტრაციის დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, დაკომპლექტების, ფუნქციონირების და ანგარიშგების წესებს. უნივერსიტეტის სტრუქტურა ეფუძნება კოლეგიალური მართვის სისტემას, რომელიც ხორციელდება მულტიდისციპლინური კომიტეტების მეშვეობით. თითოეულ კომიტეტს ხელმძღვანელობს უფროსი და შედგება შესაბამისი სამსახურების, სკოლების და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ აქტივობების ორგანიზაციულ ასპექტებს. გადაწყვეტილებები მიიღება წარმომადგენლების ინტენსიური ჩართულობით და ურთიერთშეთანხმებით.

სტუდენტური თვითმმართველობა არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს საბჭოების და კომიტეტების საქმიანობაში. სტუდენტებს უფლება აქვთ აირჩიონ კომიტეტის წარმომადგენლები ყოვლისმომცველი და თანასწორი არჩევნების საშუალებით. სავალდებულოა, თითოეულ კომიტეტში სულ მცირე ერთი სტუდენტის მონაწილეობა. სკოლების წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტში შეიძლება ჩართული იყოს არანაკლებ ორი წარმომადგენელი ნებისმიერი სკოლიდან. არჩევნები ტარდება ხმათა უმრავლესობის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 2626 სტუდენტიდან 2401 არის საერთაშორისო სტუდენტი. თეორიულად, ხმათა უმრავლესობის წესი უზრუნველყოფს კომიტეტებში საერთაშორისო სტუდენტების მონაწილეობას. თუმცა, რეკომენდებულია, მარეგულირებელ დოკუმენტებში მიეთითოს, რომ სულ მცირე ერთი საერთაშორისო სტუდენტი არჩეული წარმომადგენლის სახით მონაწილეობას უნდა იღებდეს შესაბამისი კომიტეტების საქმიანობაში.

უნივერსიტეტის წესდებაში განსაზღვრულია უნივერსიტეტის ძირითადი მართვის ორგანოები და მათი ფუნქციების განაწილება. აკადემიური საბჭო და ძირითადი საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეული - სკოლის საბჭოები თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ როგორც პირდაპირ, ისე დროებითი ან მუდმივი კომისიების მეშვეობით. დაწესებულების მართვის ორგანოებში არჩევა/დანიშვნა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, აკადემიურ საბჭოს ხელმძღვანელობს რექტორი, რომელსაც 2 წლის ვადით ირჩევს საბჭო. საბჭო შედგება დაწესებულების ყველა იმ აფილირებული პროფესორისაგან, რომელსაც თავად აქვს გამოხატული უნივერსიტეტის უმაღლეს ორგანოში საქმიანობის სურვილი. აკადემიური საბჭოს საქმიანობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის ნება გამოიხატება აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებად დატვირთვის სქემაში. სკოლის საბჭო მოიცავს სკოლის აკადემიური პერსონალის სრულ შემადგენლობას. აკადემიური

პერსონალის შერჩევა ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. სკოლის საბჭოში შედის სკოლის აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობა. მას ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც აირჩევა საბჭოს მიერ 2 წლის ვადით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 7 სკოლა: მედიცინის სკოლა; სტომატოლოგიის სკოლა; სამართლის სკოლა; პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლა; ბიზნესისა და გამოყენებითი მეცნიერებების სკოლა; განათლების სკოლა; მედიისა და კომუნიკაციების სკოლა. თითოეული სკოლის შემადგენლობაში შედის სკოლის საბჭო, დეკანი და სასწავლო პროცესის მენეჯერი/მენეჯერები. უნივერსიტეტში მოქმედებს გადაწყვეტილების ერთობლოვად მიღების ზოგადი პრინციპი. მნიშვნელობიდან გამომდინარე და ინდივიდუალური განსახილველი საკითხების მოსამზადებლად, შესაძლებელია როგორც მუდმივი, ისე დროებითი კომისიების შექმნა. კომისიების ჩამოყალიბება და მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომლის კომპეტენციაში შედის შესაბამისი საკითხის მომზადება. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, აკადემიური საბჭოსა და ძირითადი საგანმანათლებლო და კვლევითი ერთეულის - სკოლის საბჭოს სხდომები ინიშნება და ხორციელდება პორტალზე ინტეგრირებული e-Governance მოდულის გამოყენებით.

სადისერტაციო საბჭოში შედის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. საბჭოს ხელმძღვანელობს როტაციის პრინციპით სხდომაზე არჩეული თავმჯდომარე. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმია წევრთა ნახევრის დასწრება. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით. სადისერტაციო საბჭო: ა) იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო პროგრამაში კანდიდატის ჩარიცხვის წინაპირობების დაკმაყოფილების თაობაზე; ბ) ამტკიცებს ან ცვლის სადისერტაციო ნაშრომის სათაურს; გ) ანიჭებს პირს დოქტორის აკადემიურ ხარისხს; დ) აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის გამო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის თაობაზე; ე) ახორციელებს სადისერტაციო საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.

აკადემიურ საბჭოს ხელმძღვანელობს რექტორი, რომელსაც 2 წლის ვადით ირჩევს საბჭო. საბჭო შედგება დაწესებულების ყველა იმ აფილირებული პროფესორისაგან, რომელსაც თავად აქვს გამოხატული უნივერსიტეტის უმაღლეს ორგანოში საქმიანობის სურვილი. აკადემიური საბჭოს საქმიანობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის ნება გამოიხატება აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებად დატვირთვის სქემაში. სკოლის საბჭოში შედის სკოლის აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობა. მას ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც აირჩევა საბჭოს მიერ 2 წლის ვადით. სადისერტაციო საბჭოში შედის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. საბჭოს ხელმძღვანელობს როტაციის პრინციპით სხდომაზე არჩეული თავმჯდომარე. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმია წევრთა ნახევრის დასწრება. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით.

სკოლის საბჭოების და აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებისათვის საჭიროა სხდომას ესწრებოდეს შემადგენლობის არანაკლებ 1/3, გადაწყვეტილება მიიღება ერთსულოვნად, კონსენსუსით. ეს წესი არ ვრცელდება რექტორისა და დეკანის არჩევაზე, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ორგანოს წევრების ხმათა უმრავლესობა.

დაწესებულების წესდების მე-11 მუხლის თანახმად, თუ უმაღლესი მმართველი ორგანო, აკადემიური საბჭო, ვერ მიაღწევს კონსენსუსს გადაწყვეტილებაზე, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭო არ არის უნივერსიტეტის მმართველი ორგანო და ახორციელებს კრიზისულ მართვას დამფუძნებლის რანგში. ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების ფარგლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამეურვეო საბჭო შედგება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისგან. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს წევრების ნუსხა, რომელიც შედგება ხუთი წევრისგან. უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა არასამეწარმეო (არასამთავრობო) იურიდიული პირის ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის წესდება. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი მიზნად ისახავს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამეურვეო საბჭოს ფუნქციების შესრულებას, რომელიც დაარსდა 2013 წელს ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის მიერ. ინსტიტუტის სამეურვეო საბჭო შედგება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისგან და მათ აქვთ მრჩევლის ხმა. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი ზედამხედველობს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კრიზისულ მართვას. ინსტიტუტის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წესდებით განსაზღვრული პირი.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად. ნებისმიერი ინფორმაცია მიიღება და გადაიცემა ცენტრალიზებულ სერვის ცენტრის მიერ, რომელიც ოპერირებს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით. იგი გადასცემს უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამის კომუნიკაციას, კოორდინირებას უწევს მათ შიდა მიმოქცევას, აღრიცხავს, ინახავს და აარქივებს მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებებს, კოლექტიური ორგანეობის ოქმებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს და ხელშეკრულებებს.

უნივერსიტეტში დანერგილია ცენტრალიზებული მართვის ციფრული პლატფორმა - „NVU პორტალი“(online.newvision.ge), რომელიც თანაბრად ემსახურება სტუდენტებს, ლექტორებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. ის წარმოადგენს უნივერსიტეტის მთავარ ციფრულ სამუშაო პლატფორმას, ერთ სივრცეში აერთიანებს ძირითად აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პროცესებს.

უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და მომხმარებელთა საჭიროებების შესაბამისად პორტალზე ინტეგრირებულია სხვადასხვა მოდული. თითოეული მოდული თავისი ჩაშლილი ფუნქციონალით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის ეფექტური მართვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. გამოცდები ტარდება ელექტრონული პორტალის - nvu.examjet.net-ის მეშვეობით, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის ელექტრონულ პორტალთან, online.newvision.ge. სპეციალური უფლებამოსილი თანამშრომელი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ინსტიტუციური რეესტრის მართვასა და საერთაშორისო სტუდენტების სტატუსის ცვლილების შემთხვევაში, საჯარო მომსახურების განვითარების სააგენტოსთან კომუნიკაციაზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნესუწყვეტობის გეგმა, რომლის მიზანია კრიზისულ ვითარებაში დაწესებულების შეუფერხებელი ფუნქციონირება. გეგმა მოიცავს ბიზნესპროცესების ანალიზს და ავლენს რისკებს, პრევენციულ მექანიზმებსა და შესაბამის ღონისძიებებს. უსდ-თვის კრიტიკული პროცესები დაყოფილია ექვს ძირითად კატეგორიად (სტრატეგიული, ოპერაციული, ფინანსური, ტექნოლოგიური/ტექნიკური, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა, ფორს-მაჟორი). ბიზნესუწყვეტობის გეგმა

მნიშვნელოვანია უსდ-ს ძირითადი პროცესების უწყვეტობისთვის, რომელიც ითვალისწინებს შესაძლო რისკებს, მათი სრულად ან ნაწილობრივ აღმოფხვრის გზებს და თუ აღმოფხვრა შეუძლებელია, პოტენციური ზიანის შემცირების სტრატეგიას.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია მიზნად ისახავს ევროპულ და გლობალურ უნივერსიტეტებთან ინტეგრირებული უმაღლესი განათლების დაწესებულების შემდგომი განვითარების მხარდაჭერას, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ევროპული ხარისხის განათლების მიცემა, თანამედროვე ინოვაციური კვლევის შესაძლებლობა და ინტეგრაცია გლობალურ აკადემიურ საზოგადოებაში. უნივერსიტეტს ჰყავს მრავალფეროვანი სტუდენტური კონტიგენტი და აკადემიური პერსონალი. სტუდენტების და კურსდამთავრებულების 80%-ზე მეტი წარმოდგენილია 90-ზე მეტი ქვეყნიდან და აკადემიური პერსონალის მესამედზე მეტი საერთაშორისოა (https://newvision.ge/en/page/6-global/internationalization/). უსდ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და ყოველწლიურად სთავაზობს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებს ევროპის უნივერსიტეტებში, მაგალითად 2024 წელს თვრამეტი სტუდენტი მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს 17 გაცვლითი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მონაცემები ასახულია შემდეგ დიაგრამაში (იხ. დიაგრამა 2.1.2):

დიაგრამა 2.1.2



დიაგრამის თანახმად, მონაწილეთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.

უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობს კვლევის და ინოვაციების წახალისება, საერთაშორისო თანამშრომლობა და დასაქმების ბაზრისთვის სტუდენტების მომზადება. საერთაშორისო დონეზე, უსდ ადასტურებს მის ვალდებულებას პაციენტების უსაფრთხოების, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების და უწყვეტი განათლების მიმართ. მაგალითად, 2024 წლის 16 დეკემბერს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ჰოსპიტალს და ჰელს ჰაბს წარმატებით მიენიჭა "ავსტრალიის ჯანდაცვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს" (ACHSI) აკრედიტაცია სამი წლის ვადით, რაც წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროში გლობალურად აღიარებულ სტანდარტს.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს 17 უცხოურ უნივერსიტეტთან. 2024 წელს უნივერსიტეტი ჩართული იყო 13 სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში. პარტნიორი უნივერსიტეტების შერჩევის პროცესში, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს

განვითარდეს, როგორც წამყვან ევროპულ და გლობალურ უნივერსიტეტებთან ინტეგრირებული უნივერსიტეტი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილების გამდიდრებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებას და უნივერსიტეტის ინტეგრირებას გლობალურ აკადემიურ საზოგადოებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წესდება; • საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება; • სადისერტაციო საბჭოს დებულება; • სამაგისტრო განათლების დეპარტამენტის დებულება; • აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ზღვრის და ანაზღაურების განსაზღვრის ბრძანება; • შიდა შრომითი დებულება; • იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება; • ადმინისტრაციის დებულება; • ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; • კონფიდენციალურობის პოლიტიკა; • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სუბიექტების ფუნქცია - მოვალეობების ჩამონათვალი; • უნივერსიტეტში პერსონალის თანამდებობების ნუსხა/საშტატო განრიგი; • პერსონალის ხელშეკრულების ნიმუში; • აკადემიური საბჭოს ოქმები; • დოკუმენტები / ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობების და ინტერნაციონალიზაციის შესახებ; • 2019-2024 წლებში განხორციელებული ერთობლივი კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობები და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა; • ბიზნესუწყვეტობის გეგმა; • მემორანდუმები; • ორგანიზაციული ერთეულების წლიური ანგარიშები; • არასამეწარმეო (არასამთავრობო) იურიდიული პირის ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის წესდება; • ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: **არ არის წარმოდგენილი**
რჩევები: • სასურველია, მარეგულირებელ დოკუმენტებში მიეთითოს, რომ სულ მცირე ერთი საერთაშორისო სტუდენტი უნდა მონაწილეობდეს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კომიტეტების საქმიანობაში, არჩეული წარმომადგენლის სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის წარმოდგენილი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პრაქტიკა შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს და უწყვეტად ვითარდება უნივერსიტეტის ხედვის მხარდასაჭერად (https://newvision.ge/en/page/1-vision/quality-assurance/). უნივერსიტეტის პერსონალის თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში. აკადემიური პერსონალი ზრუნავს სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე. მათი მუდმივი საქმიანობაა სასწავლო კურსების და საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება სტუდენტების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის კულტურის კომიტეტის უკუკავშირის საფუძველზე. აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები აუმჯობესებს უნივერსიტეტის აკადემიურ იმიჯს და ხელს უწყობს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი უნივერსიტეტის განვითარებას. ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების და პერსონალის ადეკვატურ მომსახურებას, რაც აუცილებელი პირობაა უნივერსიტეტის შიდა პროცესების შეუფერხებელი განხორციელებისთვის. უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ აკადემიური და სამეცნიერო პროცესების გაუმჯობესებაში. სტუდენტების გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები მათ საშუალებას აძლევს გამოავლინონ უნივერსიტეტის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები და მათი რეკომენდაციებით ხელი შეუწყონ ხარისხის უზრუნველყოფას.

უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტმა, მუდმივი მონიტორინგის და გაუმჯობესების პრინციპის საფუძველზე, ჩაატარა შეხვედრები და ფოკუს ჯგუფები პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. PDCA ციკლის შესაბამისად, კომიტეტმა უზრუნველყო ავტორიზაციის და აკრედიტაციის

პროცესებში მონაწილე პირების კოორდინაცია, განსაზღვრა კონკრეტული მიზნები და სამოქმედო გეგმა, კონტროლი გაუწია შესრულების ხარისხს და განახორციელა ცვლილებები მიღებული შედეგების საფუძველზე. ხარისხის კულტურის კომიტეტმა შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების სისტემა, რომელიც ხორციელდება რეგულარულად. კომიტეტის უფროსი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე, რაც ხაზს უსვამს ხარისხის უზრუნველყოფის ძლიერი ჩარჩოს არსებობას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე. შეფასების შედეგები გათვალისწინებულია როგორც ცენტრალურ დონეზე, ისე შესაბამის სკოლებში და სტრუქტურულ ერთეულებში. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა ეტაპობრივად და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყო სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება. მნიშვნელოვნად შეიცვალა სააკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციბის ჩარჩოს და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად. შეიცვალა კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, კურსების შინაარსი და ზოგადი სტრუქტურა, რაც მიზნად ისახავდა სწავლება - სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული პროცესები დასტურდება შესაბამისი ანგარიშებით და შედეგებით.

შეფასების შედეგები გათვალისწინებულია როგორც ცენტრალურ დონეზე, ისე შესაბამის სკოლებში და სტრუქტურულ ერთეულებში. აღნიშნული პროცესები დასტურდება შესაბამისი ანგარიშებით და შედეგებით.

ხარისხის კულტურის კომიტეტი PDCA ციკლის მეშვეობით უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობას. აღნიშნული სისტემა გამოიყენება უნივერსიტეტში ხარისხის გაუმჯობესების და საქმიანობის განვითარების მიზნით. სკოლის წარმომადგენელი კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც შემდგომ ერთიან ანგარიშს წარუდგენს ხარისხის კულტურის კომიტეტს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებებს მონიტორინგის და შეფასების შედეგების საფუძველზე, რომლებიც გავლენას ახდენენ უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაზე. ხარისხის კულტურის კომიტეტმა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად აქტიურად იმუშავა ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინებაზე.

უნივერსიტეტში შემუშავებულია და ფუნქციონირებს პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) საქმიანობის შეფასების სისტემა. ყოველწლიურად ტარდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევები. პერსონალი ყოველწლიურად ავსებს კმაყოფილების კითხვარს, რომლის მონაცემების საფუძველზეც იგეგმება გაუმჯობესების ღონისძიებები. უნივერსიტეტი აფასებს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევით საქმიანობას. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა ფასდება კვლევითი საქმიანობის წახალისების წესის მიხედვით. პერსონალის კვლევითი საქმიანობა ფასდება ყოველწლიურად.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისთვის დადგენილია შემდეგი მოთხოვნები: აფილირებული პროფესორი: ყოველწლიურად მინიმუმ 50 ქულის დაგროვება

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით; პროფესორი: წელიწადში მინიმუმ 30 ქულის დაგროვება; აფილირებული ასოცირებული პროფესორი: წელიწადში მინიმუმ 40 ქულის დაგროვება; ასოცირებული პროფესორი: წელიწადში მინიმუმ 25 ქულის დაგროვება; აფილირებული ასისტენტ პროფესორი: წელიწადში მინიმუმ 30 ქულის დაგროვება; ასისტენტ პროფესორი: წელიწადში მინიმუმ 20 ქულის დაგროვება; აფილირებული ასისტენტი: წელიწადში მინიმუმ 20 ქულის დაგროვება; ასისტენტი: წელიწადში მინიმუმ 10 ქულის დაგროვება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი მათი აკადემიური მიღწევების შესაფასებლად, სემესტრში ორჯერ წარმოებს სტუდენტების მოსწრების მონიტორინგი: ა) შუალედური მიღწევების მონიტორინგი ხორციელდება ადრეული დიაგნოსტიკისთვის და ბ) სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ხორციელდება საბოლოო მიღწევების/შეფასებების მონიტორინგი. მონაცემთა შეგროვება ხდება პორტალის მეშვეობით სტუდენტური სერვის ცენტრის და საგამოცდო ცენტრის მიერ. ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი განიხილება სკოლის საბჭოზე.

ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტების კმაყოფილების კვლევა. კვლევა ხორციელდება სტრუქტურირებული კითხვარით, რომელიც სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონულად, სტუდენტის პორტალის მეშვეობით. კვლევის შედეგად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იღებს მნიშვნელოვან უკუკავშირს მათი დამოკიდებულებების და გამოცდილების შესახებ შემდეგ საკითხებზე: ა) საგანმანათლებლო პროგრამა; ბ) სასწავლო პროცესი; გ) უნივერსიტეტის მხარდაჭერა; დ) ადმინისტრაციის მხარდაჭერა; ე) ფინანსური საკითხი; ვ) ინფრასტრუქტურა; ზ) სტუდენტური ცხოვრება.

სკოლის ადმინისტრაცია, საბოლოო გამოცდების დასრულებამდე, პორტალის მეშვეობით, სტუდენტებს უგზავნის კითხვარს მიმდინარე სემესტრში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის შესაფასებლად. კითხვარი იყოფა რამდენიმე თემატურ ბლოკად და მოიცავს კურსის, ლექტორისა და სკოლის ადმინისტრაციის შეფასებას. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე უნდა შეაფასოს ლექტორი. ხარისხის კულტურის კომიტეტის წევრებს და სკოლის ადმინისტრაციას აქვთ წვდომა სტუდენტების მიერ შევსებულ კითხვარებზე.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების ინფორმირების მექანიზმი სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების გამოკითხვების უკუკავშირის შედეგად განხორციელებული ცვლილებების შესახებ. გამოკითხვის შედეგები განიხილება ხარისხის კულტურის კომიტეტში, რომელშიც სულ მცირე ერთი სტუდენტი წარმოდგენილია არჩეული წარმომადგენლის სახით. ნებისმიერი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო პროცესის ცვლილების შესახებ ატვირთულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ პორტალზე. ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენელი სკოლის ადმინისტრაციაში პასუხისმგებელია მონაცემების დამუშავებაზე და ნებისმიერი ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ხარისხის კულტურის კომიტეტს და სკოლის ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

ხარისხის კულტურის კომიტეტი სისტემატურად ატარებს კურსდამთავრებულების გამოკითხვას. კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა დასაქმების თვალსაზრისით. ანალიზი მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებს.

გარდა ამისა, ხარისხის კულტურის კომიტეტი სისტემატურად ატარებს დამსაქმებლების გამოკითხვას სპეციალური კითხვარების გამოყენებით. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განვითარებას და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. კვლევის მთავარი მიზანია შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების აქტუალობა, გამოვლინდეს კურსდამთავრებულთა კარიერული წარმატებისთვის აუცილებელი პროფესიული უნარები და ცოდნა.
სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების მეშვეობით უნივერსიტეტი აფასებს ადმინისტრაციის სერვისების მიწოდების ხარისხს. ადმინისტრაციული/ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობის ეფექტურობა ფასდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის ფარგლებში. ადმინისტრაციული პერსონალი ფასდება ყოველწლიურად მათი უშუალო ხელმძღვანელის მონაწილეობით, პირადი განვითარების გეგმის გათვალისწინებით. შედეგები გამოიყენება ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებების დასაგეგმად. ადმინისტრაციული პროცესების და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგები განიხილება ხარისხის კულტურის კომიტეტში.
ხარისხის კულტურის კომიტეტის წევრები - კომიტეტის უფროსი, მენეჯერი და სკოლების წარმომადგენლები ჩართული არიან საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ყველა ეტაპში, რაც მოიცავს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპს (მუდმივი შეფასება, შედეგების ანალიზი და განვითარება). სკოლის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, კომიტეტის საქმიანობაში ჩართული თითოეული სკოლის წარმომადგენელი პასუხისმგებელია აღნიშნული პროცესების მართვაზე. კომიტეტის უფროსი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე. კომიტეტის ფუნქციები და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპი განსაზღვრულია ადმინისტრაციის დებულებით.
უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ხარისხის კულტურის კომიტეტს არ ჰყავდა ხელმძღვანელი. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ხელმძღვანელის პოზიცია გათავისუფლდა დაახლოებით სამი თვის წინ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამი თვე საკმარისია ხარისხის კულტურის კომიტეტის უფროსის შესარჩევად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განხორციელების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტური ხელმძღვანელობის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ორგანიზაციული ერთეულის (ხარისხის კულტურის კომიტეტი) ხელმძღვანელის/უფროსის შერჩევა და აყვანა.
უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება მიზნებს და უნივერსიტეტის სტრატეგიულ რესურსებს. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია აღწერილია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების წესში. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები (აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სპორტული სივრცეები); ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნები; შრომის ბაზრის ტენდენციები; სტუდენტების შიდა და გარე მობილობის მონაცემები; პროგრამების სპეციფიკა და რეგულირებადი პროფესიების საჭიროებები. შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის სამიზნე ნიშნულები:

აკადემიური პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1:20-ს (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი თანაფარდობა- 254/2626 (1/10,34); აკადემიური პერსონალის წილი უნდა შეადგენდეს პროგრამის განმახორციელებული საერთო პერსონალის 30%-ზე მეტს (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი თანაფარდობა- 254/650 (1/2,56)); აფილირებული პერსონალის რაოდენობა უნდა იყოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის სულ მცირე 50% (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი თანაფარდობა- 206/254 (1/1,23)); სამეცნიერო ხელმძღვანელების და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებზე არ უნდა აღემატებოდეს 1:5-ს (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი თანაფარდობა- 1/5 მაგისტრანტებისთვის და 1/3 დოქტორანტებისთვის); სტუდენტთა კონტინგენტთან მიმართებით ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1:30-ს (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი თანაფარდობა - 190/2626 (1/13,82)).

ზემოთ აღწერილი ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. უნივერსიტეტს 2031 წლის დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები, როგორც ეს მოითხოვება თვითშეფასების ანგარიშის შაბლონით (მაგალითისთვის იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების ცხრილი 2.2.1).

ცხრილი 2.2.1 სამიზნე ნიშნულები

	ფაქტობრივი სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის სავარაუდო თარიღი
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სრულ რაოდენობასთან	254/190 1/0.7	1:0.7	2031
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა პერსონალის სრულ რაოდენობასთან	254/650 1/2.55	1/2.5	2031
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის სრულ რაოდენობასთან	254/206 1/0.8	1/0.5	2031
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების სრულ რაოდენობასთან	460/3200 1/6.95	1/7	2031

აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სრულ რაოდენობასთან	32/1 460/14	32:1	2031

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები. პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამის კომპონენტების პერიოდული გადახედვა. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების (მე-20 მუხლი) თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს, რომ თითოეული სასწავლო წლის ბოლოს სასწავლო კურსების განმახორციელებლებმა გადახედონ თავიანთ სილაბუსებს, პროგრამის სტრუქტურას, სწავლების და შეფასების მეთოდებს და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებ - გვერდი https://newvision.ge/en/page/1-vision/quality-assurance/;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წესდება;
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- სამაგისტრო განათლების დეპარტამენტის დებულება;
- აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ზღვრის და ანაზღაურების განსაზღვრის ბრძანება;
- შიდა შრომითი დებულება;
- იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება;
- ადმინისტრაციის დებულება;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- კვლევითი საქმიანობის წახალისების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის 2019-2024 და სამოქმედო გეგმის 2021-2024 განხორციელების ანგარიში;
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- სკოლის საბჭოების სხდომის ოქმები;
- საერთაშორისო საქმიანობა და ინტერნაციონალიზაცია;
- ბიზნესუწყვეტობის გეგმა;
- მემორანდუმები;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში განხორციელებული საერთაშორისო აქტივობები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის კვლევის და შეფასების შედეგების ანალიზი (2019-2024);
- ორგანიზაციული ერთეულების წლიური ანგარიშები;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განხორციელების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (ხარისხის კულტურის კომიტეტი) ჰყავდეს ხელმძღვანელი/უფროსი.

რჩევები:

არ არის წარმოდგენილი

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის წარმოდგენილი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში მოქმედებს რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებშიც ინტეგრირებულია სტუდენტების, პერსონალის და უნივერსიტეტთან დაკავშირებული პირების აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკური ქცევის სტანდარტები. პროფესორს მოეთხოვება დაიცვას უნივერსიტეტის ღირსების კოდექსი და უნივერსიტეტის სხვა პოლიტიკა და კოდექსები, რომლებიც ვრცელდება უნივერსიტეტის მომსახურების მიმწოდებელ პერსონალზე. აღნიშნული პოლიტიკების და პრაქტიკის კოდექსების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე (https://newvision.ge/ka/policies-and-reports/charter-and-regulations). ბოლო პერიოდში უნივერსიტეტმა განახორციელა ცვლილებები შესაბამის ნორმატიულ აქტებში. კერძოდ, განახლდა ადმინისტრაციის და საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება. დეტალურად განისაზღვრა არაეთიკური ქცევის მნიშვნელობა და რეაგირების მექანიზმები. სიცხადისთვის, შიდა რეგულაციებში მითითებულია უნივერსიტეტის მრავალფეროვნების და თანასწორობის პოლიტიკა. შემუშავდა "ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკური წესების

სახელმძღვანელო", რომლის მიზანია მკაფიოდ და გასაგებად აღწეროს წესები, პროცედურები და დისციპლინური შედეგები, რომლებიც ვრცელდება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, სტუდენტებზე და სხვა პირებზე. სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს მარტივად მოიძიონ დაწესებულებაში მოქმედ ეთიკურ სტანდარტებთან დაკავშირებული წესები ნორმატიული აქტების სისტემაში. სახელმძღვანელო ხელს უწყობს უნივერსიტეტის საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელებას არსებული წესების შესახებ და ცნობიერების ამაღლებას აკადემიური კეთილსინდისიერების თაობაზე. უნივერსიტეტის მოლოდინია, რომ ყველა მასთან დაკავშირებული პირი პატივს სცემს პოლიტიკის დოკუმენტებში გაწერილ ღირებულებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. ღირებულებებთან აცდენა განიხილება არაეთიკურ ქმედებად. დარღვევებზე რეაგირებისათვის 2022 წლის 25 მარტის აკადემიური საბჭოს N04 გადაწყვეტილებით შეიქმნა მუდმივმოქმედი დისციპლინური კომისია, რომლის კომპეტენციაშიც შედის ეთიკური სტანდარტების დარღვევაზე რეაგირება, როგორც სტუდენტების, ისე უნივერსიტეტის პერსონალის შემთხვევაში. კომისია მიუკერძოებლად განიხილავს დარღვევის გარემოებებს, იკვლევს მტკიცებულებებს და აკეთებს დასკვნას. დისციპლინური კომისიის დასკვნის საფუძველზე, რექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ოფიციალურად ფორმდება ბრძანებით, რომელიც შეიცავს როგორც კომისიის დასკვნას, ისე სხდომის ოქმს. მაგალითად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში მოქმედმა დისციპლინურმა კომისიას საანგარიშო პერიოდში განიხილა 7 საქმე: 5 საქმე 2022 წელს და 2 საქმე 2024 წელს. საქმეები შეეხებოდა სტუდენტის მიერ მის სტატუსთან შეუსაბამო ქცევას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხელშეშლას და შეფასების შედეგებზე დაუშვებელ ზემოქმედებას. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მე-4 მუხლის მიხედვით, უნივერსიტეტის ღირსების პოლიტიკა ვრცელდება სწავლების/სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობის ნებისმიერ პროცესზე ან პროდუქტზე. იკრძალება აკადემიური არაკეთილსინდისიერების ნებისმიერი ფორმა (პლაგიატი), მათ შორის თვითპლაგიატი ან პერეფრაზირებული პლაგიატი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი ნაშრომის ტექსტის შემოწმებას თანამედროვე, ეფექტური ავტომატიზებული სისტემის საშუალებებით და ადგენს წყაროებთან დამთხვევის პროცენტულ მაჩვენებელს. ანგარიში იგზავნება სტუდენტთან და ხელმძღვანელთან. ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ, დამთხვევების კორექტირების გათვალისწინებით. ნაშრომის ტექსტის ორიგინალურ მასალასთან დამთხვევის მაჩვენებელი (ლიტერალური ციტირება) არ უნდა აღემატებოდეს 8%-ს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი ნაშრომის ტექსტის შემოწმებას შესაბამისი პლატფორმის, Turnitin-ის მეშვეობით. წყაროებთან დამთხვევის პროცენტული მაჩვენებლის ანგარიში ეგზავნება სტუდენტს და ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ, დამთხვევების კორექტირების მიზნით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. სტუდენტს არ უნდა მიენიჭოს ქულა, თუ ნაშრომის დაცვის ეტაპზე გამოვლინდება, რომ მან დაარღვია კეთილსინდისიერების სტანდარტი. თუ აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ დროებითი კომისია დაადგენს კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის შემთხვევას, აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო გააუქმებს მინიჭებულ აკადემიურ ხარისხს. გასაჩივრების შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს

გადაწყვეტილებით, შეიძლება შეიქმნას მინიმუმ სამი წევრისგან შემდგარი დროებითი კომისია, რომელიც შეისწავლის კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის ფაქტს. უნივერსიტეტი ზედამხედველობას უწევს კვლევითი ნაშრომების Turnitin - ის სისტემით შემოწმების პროცესს. აღნიშნული სისტემით შემოწმება სავალდებულოა სამაგისტრო, საბაკალავრო და სადოქტორო ნაშრომებისთვის. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი ნაშრომის ტექსტის შემოწმებას თანამედროვე, ეფექტური მექანიკური შედარების საშუალებებით და ამზადებს ანგარიშს წყაროებთან დამთხვევის პროცენტული მაჩვენებლის შესახებ. ანგარიში ეგზავნება სტუდენტს და ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ, დამთხვევების რევიზიის გათვალისწინებით. ნაშრომის ტექსტის დამთხვევის ხვედრითი წილი ორიგინალ მასალასთან არ უნდა აღემატებოდეს 8 პროცენტს. უნივერსიტეტი აანალიზებს შემოწმების პროცესის შედეგებს და ამზადებს ანგარიშებს. მაგალითად, 2023 წელს შემოწმდა 179 ნაშრომი. მათ შორის, როგორც სამაგისტრო ისე ფინალური გამოცდებისთვის ან/და სასწავლო კურსების სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში მომზადებული ნაშრომები. შემოწმებულ ნაშრომებში ტექსტის დამთხვევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა 14 ნაშრომში. 2024 წელს შემოწმდა 753 ტექსტი, მათ შორის ყველაზე მაღალი აქტივობის მაჩვენებელი ემთხვევა შუალედური და ფინალური გამოცდების პერიოდს. 2024 წელს დაფიქსირდა ტექსტის დამთხვევის მაღალი მაჩვენებლის 68 შემთხვევა. მათ შორის არ ყოფილა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. 2024 წლის მაისში განახლებულმა ხელშეკრულებამ ონლაინ პლატფორმა Turnitin-ის პროვაიდერებთან შესაძლებელი გახადა ხელოვნური ინტელექტით დაგენერირებული ტექსტის შემოწმება. შემოწმდა 162 ნაშრომში, სადაც არ დაფიქსირდა ხელოვნული ინტელექტის მიერ დაწერილი ტექსტი, 76 ნაშრომში ვერ დადგინდა ხელოვნური ინტელექტის გავლენა. ნაშრომების გარკვეულ ოდენობაში დაფიქსირდა ხელოვნური ინტელექტის მიერ დაწერილი ტექსტი.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი ((https://newvision.ge/en/policies-and-reports/charter-and-regulations?open=Regulation+on+the+Use+of+Generative+Artificial+Intelligence). გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაშვებულია შემდეგ შემთხვევებში: აკადემიური ნაშრომების დაგეგმვა; იდეების გენერირება და სტრუქტურის შექმნა; წყაროების იდენტიფიცირება; მონაცემების ანალიზი და შედარება; გრამატიკული და ტექნიკური რედაქტირება (თუ ეს არ მოიცავს ნაშრომის არსებით გადაწერას). კურსის ინსტრუქტორი უფლებამოსილია სილაბუსში დაამატოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობა კურსის შინაარსის და მიზნების და ხელოვნური ინტელექტის ეთიკური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. კერძოდ, ინტსტრუქტორს შეუძლია განსაზღვროს, დაშვებულია თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კურსის ფარგლებში და რა ზომით კონკრეტული დავალებების შესრულებისას. სილაბუსში მითითებული ინსტრუქციები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულ წესებს.

შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში გათვალისწინებულია აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური თავისუფლების პოლიტიკა (https://newvision.ge/ka/policies-and-reports/policies/academic-freedom?open), რომელიც ვრცელდება ყველა კვლევით, აკადემიურ და სასწავლო პერსონალზე და მოიცავს შემდეგ თავისუფლებებს: 1) საგნის ფარგლებში საკითხის სწავლების და განხილვის თავისუფლება აკადემიური სფეროების პროფესიული და

აკადემიური სტანდარტების დაცვით; 2) კვლევის ჩატარების და კვლევის შედეგების გამოქვეყნების თავისუფლება ჩარევის ან შურისძიების შიშის გარეშე, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ სამართლებრივ, ეთიკურ და პროფესიულ ვალდებულებებს; 3) შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სწავლებასთან, კვლევასთან ან უფრო ფართო აკადემიურ და საზოგადოებრივ საკითხებთან, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის შენარჩუნებით, ზოგადად აკადემიური საზოგადოების, მათ შორის ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ღირებულებების და პროფესიული და აკადემიური სტანდარტების დაცვით. აკადემიური თავისუფლების პოლიტიკა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე. პოლიტიკა ვრცელდება ყველა აკადემიურ, კვლევით და სასწავლო პერსონალზე, მათ შორის პროფესორებზე, ლექტორებზე, მკვლევრებზე და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ნებისმიერ სხვა სასწავლო ან კვლევით პერსონალზე, ნებისმიერ აკადემიურ საქმიანობაზე, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექციებით, სემინარებით, კონფერენციებით, პუბლიკაციებით და საზოგადოებრივ დისკუსიებში ჩართულობით. რეკომენდებულია, აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტმა პერსონალთან და სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაამატოს ჩანაწერი / მუხლი აკადემიური თავისუფლების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებ - გვერდი https://newvision.ge/en/page/1-vision/quality-assurance/; • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წესდება; • საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება; • სადისერტაციო საბჭოს დებულება; • სამაგისტრო განათლების დეპარტამენტის დებულება; • აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ზღვრის და ანაზღაურების განსაზღვრის ბრძანება; • შიდა შრომითი დებულება; • იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება; • ადმინისტრაციის დებულება; • ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; • კვლევითი საქმიანობის წახალისების წესი; • გენდერული თანასწორობის გეგმა; • აკადემიური თავისუფლების პოლიტიკა; • მრავალფეროვნების და თანასწორობის პოლიტიკა; • გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი; • დოკუმენტები/ანგარიშები და ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ; • დისციპლინური კომისიის ანგარიში; • აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ხელშეკრულების შაბლონი; • ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:

•
რჩევები: • სასურველია, აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერსონალთან და სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაემატოს ჩანაწერი / მუხლი აკადემიური თავისუფლების შესახებ. **არ არის წარმოდგენილი**
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია "საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში". დოკუმენტი არეგულირებს უნივერსიტეტის და საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების მართვას, უნივერსიტეტის კეთილსინდისიერების პოლიტიკას, აკადემიური პოზიციების დაკავებას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას და განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას და უნივერსიტეტის საქმიანობის სხვა აპექტებს. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება მონაწილეობითი პროცესია, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული

ასოციაციები) მაღალი ხარისხის, ბაზარზე ორიენტირებული და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების უზრუნველსაყოფად. „საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების" მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში მონაწილეობენ: ა) სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი; ბ) შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტები. ასევე შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის სტუდენტების მოწვევა; გ) შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომიჯნავე სპეციალობიდან; დ) პოტენციური დამსაქმებლები; ე) დარგის ექსპერტები და პრაქტიკოსები. პროცესში ასევე მონაწილეობენ შემდეგი ერთეულები: ა) სტუდენტური ცხოვრების კომიტეტი; გ) სტრატეგიული განვითარების და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტი; დ) იურიდიული კომიტეტი და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; ე) ფინანსური და საოპერაციო კომიტეტი; ვ) ბიბლიოთეკა. ვიზიტის დროს პროგრამების განვითარებაში და განხორციელებაში ჩართულმა მხარეებმა განიხილეს აღნიშნული საკითხი. დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევები, რაც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, უნივერსიტეტი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევების შედეგებს, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს (პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად), კონსულტაციებს პროფესიულ ასოციაციებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო საუკეთეოს პრაქტიკას. აღნიშნული მდიგომა გარკვეულწილად გამოიყენება სტუდენტების მიღების პროცესშიც. რაც შეეხება უცხოელი სტუდენტების (ძირითადად მედიცინის და სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთის) ქვეყნების შრომის ბაზრის კვლევას, უნივერსიტეტს შესაძლოა გაუჭირდეს სხვა ქვეყნებში შრომის ბაზრის შესწავლა.

თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი/ანგარიშები. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ძირითადად უცხოელები არიან, შრომის ბაზრის კვლევა ასევე მოიცავს იმ ქვეყნების შრომის ბაზრების კვლევას, საიდანაც წარმოდგენილია სტუდენთა კონტიგენტის დიდი ნაწილი, კერძოდ დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი და ისრაელი. ასევე შესწავლილია ევროპის და აშშ-ში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები. კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 92%-ია, ხოლო პროფესიით - 86.4%-დან 90%-მდე. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საზღვარგარეთ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 80%-ია. 2023-2024 სასწავლო წელს გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 102 - მა კურსდამთავრებულმა, ხოლო 2024-2025-ში 34-მა. კვლევამ აჩვენა, რომ 79.4% დასაქმებულია პროფესიით. კვლევის შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისთვის და მხარდაჭერის ინიციატივებისთვის.

კურსდამთავრებულების და შრომის ბაზრის კვლევამ გამოავლინა უცხოელი რესპოდენტების წილი, თუმცა კონკრეტულად მათი დასაქმების მაჩვენებელი არ არის

გამოთვლილი. სასურველია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს უცხოელი კურსდამთავრებულების გამოკითხვა საზღვარგარეთ მათი დასაქმების მაჩვენებლების დასადგენად.
პროგრამების განვითარების პროცესში მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის არიან ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული კომპანიები:
1. შპს "ზარაფხანა" (https://zarapkhana.ge/ge/main),
2. შპს "ნიუ ვიჟენ სპორტ კლუბი" (ინტერ აკადემია საქართველო) https://interacademy.inter.it/georgia/);
3. შპს "ფეხბურთის კლუბი ტორპედო ქუთაისი FB" (https://www.facebook.com/FCTorpedoKutaisi1946/);
4. ნიუ ვიჟენ ჯანმრთელობის ჰაბი (https://www.facebook.com/newvisionhealthhub/);
5. ა(ა)იპ "ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სპორტ კლუბი - ქართველები (ნიუ ვიჟენ ქართველები - "ნიუ ვიჟენ ქართველები");
6. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ჰოსპიტალი;
7. სს "ნიუ ვიჟენ დაზღვევა" (https://nvi.ge/);
8. ნიუ ვიჟენ ლიზინგი;
9. შპს "ნიუ ვიჟენ ფილმსი";
10. შპს საქართველოს საავიაციო აკადემია;
11. შპს მოლეკულური ბიოლოგიის კვლევითი ცენტრი შპს;
12. შპს ბიზნეს რესტრუქტურიზაციის ფონდი.
უნივერსიტეტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის თავად წარმოადგენს ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ დამსაქმებელს, ამიტომ მისი მიზანია აღჭურვოს ინდივიდები საჭირო ცოდნით და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უნარებით, პასუხისმგებლობით და დაასაქმოს კურსდამთავრებულები შესაბამის სფეროში, პროფესიის შესაბამისად. პროფესიული პრაქტიკის, კვლევის, მომზადების და განათლების, კონსულტირების და სხვა მიზნებისთვის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:
1. Optec GmbH - ცაისის ჯგუფის წევრი;
2. შპს ორიენტ ლოჯიკი;
3. შპს საფ ფარმა;
4. ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ინსტიტუტი;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;ს
6. სსიპ - ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
7. გ. ელიავას ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
8. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
9. შპს ვიტამედ;
10. ნიუ ჰოსპიტალი;
11. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი;
12. შპს მედიკლაბ ჯორჯია;
13. შპს მურ ABC;
14. ლატვიის უნივერსიტეტი;
15. Planmeca Oy (ჰელსინკი);
16. აგრარული უნივერსიტეტი;

17. ა(ა)იპ Aisec საქართველო;
18. ტიროლის კიბოს კვლევითი ინსტიტუტი;
19. შპს ავერსის კლინიკა;
20. პასაუს უნივერსიტეტი /გერმანია/.

თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები, გადახდის ქვითრები, მემორანდუმები და შეთანხმებები, პრაქტიკის დღიურები და ანგარიშები, რომლებიც ადასტურებენ პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების პროცესის არსებობას. უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს. შემუშავებული და დამტკიცებულია მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორიცაა: პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და შეცვლის წესი; გასაუბრების და კონკურსის საფუძველზე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე მისაღები პირების შერჩევა; პროფესიული მომზადების / გადამზადების პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის და ჩარიცხვის წესი; პროფესიული მომზადების / გადამზადების პროგრამის სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი უწყვეტად მუშაობს პროგრამების განვითარებაზე, რაც დაკავშირებულია მუდმივად ცვალებად გარემოსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამების "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" პრინციპის მიზანია სწავლების და კვლევის გაუმჯობესება, რაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ეტაპების და კომპონენტების მუდმივი მონიტორინგით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების წესები და პროცედურები. პროცესი რეგულირდება "საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებით". პროგრამების დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის პროცედურული საკითხები ასახულია აკადემიური საბჭოს ოქმებში. ასევე, იგივე დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის გაუქმების საკითხს. საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების და შემუშავების პროცესი კარგად არის ჩამოყალიბებული. პროცესში მონაწილეობენ სპეციალური პროგრამის სამუშაო ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე, სილაბუსების შემუშავებაზე და განახლებაზე, აუცილებელი რესურსების გამოვლენაზე და თვითშეფასების ანგარიშების მომზადებაზე. აღნიშნული დოკუმენტები ეგზავნება სკოლის საბჭოს, განიხილება ხარისხის კონტროლის კომიტეტის მიერ და წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად და განსახორციელებლად. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს: ა) უნივერსიტეტის სხვა თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობას ან ბ) გარე მობილობის შეთავაზებას. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებული პროგრამის თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტი აფორმებს შეთანხმებას სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტების მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მედიცინის და ჯანდაცვის სექტორში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე, რაც განპირობებული იყო დარგობრივი სტანდარტების ცვლილებით და სტუდენტების

მზარდი ინტერესით. მაგალითად: 1) ფიზიკური რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა გამოეყო საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამას რაც უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს შეიმუშავონ უფრო ფოკუსირებული სასწავლო გეგმები; 2) ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამები გადავიდა ბიზნესის მიმართულებაში, რაც ლოგიკურია, აახლოებს პროგრამას აკადემიურ ორიენტაციასთან და აძლიერებს მის ზეგავლენას. 2022 წლის 16 ნოემბერს მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა მედიცინის პროგრამაში, რამაც გამოიწვია კრედიტების ხელახლა განაწილება რამდენიმე კლინიკურ კურსში, მათ შორის გინეკოლოგიაში, პედიატრიაში და ქირურგიაში, რაც აძლიერებს პროგრამის საერთო ეფექტურობას. განხორციელდა სასწავლო გეგმაში ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირება, როგორიცაა ციფრული გამოსახულება სტომატოლოგიაში და რეგენერაციული მედიცინის მიღწევები, რაც ასახავს თანამედროვე სამედიცინო განათლების მიმართ პროგრამის ვალდებულებას.

ამჟამად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების 30%-ზე მეტი დასაქმებულია ჰოსპიტლებში. ისინი დასაქმდნენ პროგრამის დასრულების შემდეგ ან სწავლის პერიოდში, რაც მიუთითებს ძლიერი დასაქმების შესაძლებლობების და პროგრამის აქტუალობის მკაფიო ინდიკატორზე. მედიცინის სტუდენტები წარმოადგენენ სტუდენტთა კონტიგენტის 50%-ზე მეტს. არსებობს გარკვეული მონაცემები პროგრამის დასრულების შემდგომ უცხოელი სტუდენტების მიერ გამოცდების ჩაბარების შედეგების შესახებ (მაგალითად, ინდოელი სტუდენტები). უნივერსიტეტს, როგორც ჩანს, არ წარმოუდგენია აღნიშნული მონაცემები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კლინიკური სწავლების მასშტაბი და ხარისხი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან ფორმალური თანამშრომლობის მემორანდუმების მეშვეობით. უფრო მეტიც, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ჰოსპიტლები და კლინიკები თავად უზრუნველყოფენ პრაქტიკული, მაღალი ხარისხის კლინიკური განათლების მიწოდებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების და შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა;
- ბიზნეს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამების უმაღლესი განათლების და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- "მულტიმედია ჟურნალისტიკისთვის" საბაკალავრო პროგრამის დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე პოპულარული სპეციალობების კვლევა (2022-2023 სასწავლო წლის მონაცემები);
- შეხვედრების ოქმები;
- კურსების შეფასებები;
- აკადემიური საბჭოს 15.05.2024 N6 სხდომის ოქმი: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების დოკუმენტაციის დამტკიცება;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევები და ანალიზი;

- მიღება-ჩაბარების აქტები, გადახდის ქვითრები, მემორანდუმები და შეთანხმებები;
- პრაქტიკის დღიურები და ანგარიშები;
- გასაუბრების შედეგები;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ვებ - გვერდი.

რეკომენდაციები:

არ არის წარმოდგენილი

რჩევები:

- სასურველია, "საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში" აღინიშნოს, რომ დოკუმენტი არეგულირებს აღმასრულებელი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას და მონიტორინგს.
- სასურველია, ჩატარდეს უცხოელი კურსდამთავრებულების გამოკითხვა საზღვარგარეთ დასაქმების მაჩვენებლის დასადგენად და ამ და სხვა რელევანტური შედეგების წარმოდგენა.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის წარმოდგენილი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

N	პროგრამის სახელწოდება	მისანიწებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	სამართალი	სამართლის ბაკალავრი	240

2	შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართალი	სამართლის მაგისტრი	120
3	სამართალი	სამართლის დოქტორი	60
4	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240
5	სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;	240
6	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120
7	აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში	აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში	72
8	ჯანდაცვის მენეჯმენტი	ჯანდაცვის ადმინისტრირების მაგისტრი	120
9	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი	60
10	პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები	სოციალური მეცნიერების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში; სოციალური მეცნიერების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში;	240
11	ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო	ევროპული ინტეგრაციის მაგისტრი	120
12	მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა	დიპლომირებული მედიკოსი	360
13	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი	240
14	საექთნო საქმე	საექთნო საქმის ბაკალავრი	240
15	ფარმაცია	ფარმაციის ბაკალავრი	240
16	მედიცინის სადოქტორო პროგრამა	მედიცინის დოქტორი	60
17	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი	60
18	სტომატოლოგია	დიპლომირებული სტომატოლოგი	300

19	მულტიმედია ჟურნალიზმი	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი	240
20	განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამა	განათლების მეცნიერების დოქტორი	60

"საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების" თანახმად, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ასახულია კრედიტებში. ერთი კრედიტი უტოლდება 30 ასტრონომიულ საათს. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსით და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. სააუდიტორიო საათი მოიცავს 50 წუთს, ხოლო შესვენება 10 წუთს. შესაბამისად, პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტი მოქმედებს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამების სწავლის შედეგები და დაადგინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ზოგიერთი მიმართულების პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებელს. კერძოდ, სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელს. მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სასურველია სპეციალობის საგნებში შედიოდეს მარკეტინგი, პროექტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს გარემო, რისკები, მიწოდების ჯაჭვი/ლოგისტიკა და ორგანიზაციული აქტივობები.

ასევე, სასურველია, გაიზარდოს საკონტაქტო საათები ინოვაციების მენეჯმენტის აღმასრულებელ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის განმსაზღვრელ კომპონენტებში. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს მხოლოდ სამ კომპონენტს. მათ შორისაა 2 სასწავლო კურსი (8-8 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (24 კრედიტი). სასწავლო კურსი "ინოვაცია, სტრატეგიული მენეჯმენტი და ციფრული ტრანსფორმაცია" მოიცავს მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სფეროებს, თუმცა 240 საათიანი სასწავლო კურსისთვის განსაზღვრულია მხოლოდ 45 საკონტაქტო საათი.

მედიცინის პროგრამაში კვლევის მეთოდოლოგია I და კვლევის მეთოდოლოგია II (მათ შორის ბიოსტატისტიკა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა) მოიცავს ჯამში 8 კრედიტს. აღნიშნული კურსების მიზანია სტუდენტებში რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების ცოდნის და უნარების განვითარება. უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, კვლევითი უნარების განვითარებისთვის და სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტების აქტიური ჩართულობისთვის რეკომენდებულია 10 კრედიტი. უნივერსიტეტის განმარტებით "სამედიცინო ეთიკის და ლიდერობის" კურსი უზრუნველყოფს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას, თუმცა სწავლის შედეგები არ ასახავს აღნიშნულ მიზანს.

აღნიშნული კურსის სწავლის შედეგების თანახმად, კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

• აცნობიერებს, აღმოაჩენს და ავითარებს საკუთარ და სხვების სწორ ლიდერულ თვისებებს;
• წარმართავს ურთიერთობებს პროფესიული და პირადი მიზნების ბალანსით;
• დადებითად გადასცემს და იღებს უკუკავშირს, ეხმარება საკუთარ თავს და სხვებს პოტენციალის მაქსიმალურად განვითარებაში;
• აჩვენებს ეთიკურ ცნობიერებას და ლიდერულ თვისებებს ზრუნვის, წვლილის შეტანის და დადებითი ცვლილების განსახორციელებლად როგორც კლინიკურ გარემოში, ისე საზოგადოებაში;
• ეფექტურად ხელმძღვანელობს პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციებს ან ღირებულებებს;
• ეცნობა სიახლეებს და ეფექტურად რეაგირებს რთულ სამუშაო გარემოზე;
• აფასებს და ზრდის საკუთარი სამედიცინო გუნდის ეფექტურობას და მატებს ღირებულებას შიდა და გარე ქსელების მეშვეობით;
• უმკლავდება ჯანდაცვის მიწოდებაში ინტენსიურ სისტემურ სირთულეს, რომელიც წარმოიშობა პოლიტიკური, ეკონომიკური, კიბერნეტიკული და გარემოს დაშვებების და შეზღუდვებისგან;
• ახდენს ადაპტაციას კლინიკური განვითარების მასშტაბზე, სიღრმესა და ტემპზე;
• აღმოაჩენს დილემებს და ქმნის პირადი რეფლექსიის შესაძლებლობებს ჯანდაცვის დაწესებულებებში ყოველდღიურ და კრიზისულ სიტუაციასთან გასამკლავებლად;
• პროაქტიულია და მოქმედებს რაციონალურად და ეფექტურად, როდესაც აწყდება ბიოეთიკურ გამოწვევებს;
• აქვს ფართო ხედვა ჯანდაცვაში ურთიერთდაკავშირებული სისტემების კომპლექსურ ურთიერთქმედებაზე.

სასურველია ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამას დაემატოს ისეთი თემები, როგორიცაა ფინანსები და დაზღვევა, პროექტების მართვა და ჯანდაცვის ახალი ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელთან.

მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი მიყვება ლოგიკურ თანმიმდევრობას, პროგრესირებს ძირითადი მედიცინის მეცნიერებებიდან პრეკლინიკური სწავლების და კლინიკური მომზადების მიმართულებით. აკადემიური გამოცდილების გამდიდრების მიზნით , სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა არჩევითი კურსები. მაგალითად, მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამებში ლოგიკური თანმიმდევრობა შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სამართლის პროგრამების სწავლის შედეგები და დაადგინა, რომ ისინი შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს.

კვლევა ჩაშენებულია სასწავლო გეგმის სხვადასხვა დონეზე კვლევის მეთოდოლოგიის სპეციალური კურსების ან კვლევითი პროექტების მეშვეობით, რომლებიც ხორციელდება მე-12 სემესტრში. სწავლება - სწავლის სტრატეგიები მხარს უჭერს სტუდენტზე ორიენტირებულ და თვითმართვად სწავლებას. აღნიშნული მოიცავს: პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, გუნდზე დაფუძნებულ სწავლებას, თემაზე დაფუძნებულ სწავლებას და შემთხვევების შესწავლას.

თუმცა, თვითშეფასების ანგარიშის და ვიზიტის მიგნებების საფუძველზე, ბუნდოვანია ხორციელდება თუ არა პროგრამაში აღნიშნული მეთოდები თანმიმდევრულად და ეფექტურად. სასწავლო გეგმის როგორც ჰორიზონტალური (დისციპლინებს შორის), ისე

ვერტიკალური (წლებს შორის) ინტეგრაცია საჭიროებს შემდგომ შეფასებას მისი შესაბამისად გამოყენების უზრუნველსაყოფად.
მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა შეესაბამება საქართველოს სამედიცინო განათლების სტანდარტებს, რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების განვითარების და ჩამოყალიბების ასპექტები. საერთაშორისო დონეზე, მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების უმეტესობას მიღებული აქვს აღიარებული კომპეტენციის ჩარჩოები, როგორიცაა ACGME (აშშ), CanMEDS (კანადა) ან GMC შედეგები (დიდი ბრიტანეთი) ხოლო, ზოგიერთმა დაწესებულებამ შეიმუშავა საკუთარი ეროვნული ან ინსტიტუციური სამედიცინო კომპეტენციის ჩარჩოები.
სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს კონკრეტულ კომპეტენციის სფეროებს, ვინაიდან აღნიშნული უზრუნველყოფს მეტ სიცხადეს და აქტუალობას ვიდრე ცოდნის, უნარების და პროფესიული დამოკიდებულების შესაბამისობა ზოგად სფეროებთან. კარგად განსაზღვრული კომპეტენციების სფეროები უფრო ეფექტურად იქნება დაკავშირებული ეროვნული კვლაიფიკაციების ჩარჩოსთან. პროგრამის სწავლის შედეგების და კურსდამთავრებულების განვითარების რეალური კომპეტენციების გაზომვა მნიშვნელოვანია. კურსდამთავრებულების შესაძლებლობების გაგება გააუმჯობესებს სტუდენტების შეფასების სისტემას და პროგრამის საერთო შეფასებას.
გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული მკაფიო კრიტერიუმები სასკოლო საგნებში მოთხოვნილი ქულების შესახებ, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების პირველი წლის სასწავლო კურსებს, როგორიცაა ბიოლოგია, ქიმია, მათემატიკა და ა.შ. მედიცინის პროგრამის საერთაშორისო სტუდენტებს სჭირდებათ კარგი მიღწევები აღნიშნულ საგნებში. ქართველ სტუდენტებს აქვთ უფრო კონკურენტული სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნამდვილად მნიშვნელოვანია, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საერთაშორისო სტუდენტები მედიცინის პროგრამაზე დაიშვებიან ბიოლოგიის ან ქიმიის მისაღები გამოცდების გარეშე. შესაბამისად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მოთხოვნები შეესაბამება საკანონმდებლო ჩარჩოს.
დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების ცოდნა, კომუნიკაციის, ლიდერობის, სწავლებაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის, მონაცემების კვლევის და განვითარების უნარები.
ყველა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად უზრუნველყოფს კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების მიერ გონივრულ ვადაში სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმებში არ არის მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები. "საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება" აღნიშნავს, რომ: წინაპირობების კავშირის შემთხვევაში, შემდგომი კომპონენტის გავლის წინაპირობაა წინა კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, სასწავლო გეგმებში არ არის წარმოდგენილი წინაპირობები. პროგრამების ხელმძღვანელებთან ჩატარებული გასაუბრების დროს, სამართლის პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წინაპირობები მითითებულია სილაბუსებში და არ მიაჩნიათ საჭიროდ წინაპირობების ასახვა პროგრამის სასწავლო გეგმაში. ბაკალავრიატის სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრების დროს

აღინიშნა, რომ სტუდენტები სასწავლო კურსების წინაპირობების შესახებ ინფორმაციას იღებენ სილაბუსებიდან, ხოლო გაურკვევლობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელისგან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია.

დებულებაში ასევე აღნიშნულია, რომ: პროგრამის კომპონენტის მიზანი და სწავლის შედეგები, მათი მიღწევის მეთოდები, კრედიტების რაოდენობა, შინაარსი, შეფასების სისტემა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ასახულია სილაბუსებში. მოცემულ ჩანაწერში არ არის გათვალისწინებული წინაპირობების მითითების სავალდებულო ველი. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამის წინაპირობები მითითებული უნდა იყოს ყველა პროგრამის სასწავლო გეგმაში, რათა სტუდენტებს გაუმარტივდეთ სასწავლო პროგრამის დაგეგმვა. თუ სტუდენტი სასწავლო კურსების არჩევისას გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ შეთავაზებული სემესტრული განაწილების მიხედვით, გაურკვეველია როგორ უნდა აირჩიოს სასწავლო კურსი, თუ არ აქვს დაძლეული წინა სემესტრების კურსები. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამების სასწავლო გეგმებში აისახოს პროგრამის წინაპირობები.

პროგრამები სტუდენტებს აძლევენ არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას. პროგრამის კომპონენტის მოცულობა განისაზღვრება მისი შინაარსით, სწავლის შედეგებით და დარგის სპეციფიკით. სასურველია, დაკორექტირდეს ქართული ენის სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება და გაიზარდოს პროგრამის მეორე სასწავლო წელს ქართული ენის კურსების სწავლება, ვინაიდან სასწავლო კურსები ქართული ენა 1 და 2, რომლებიც ჯამში მოიცავენ 12 კრედიტს არ არის საკმარისი ქართულენოვან პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის. გარდა ამისა, ქართული ენის კომპონენტის საჭიროება აღინიშნა სხვა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაშიც. რეკომენდებულია, ინგლისურენოვან პროგრამებში შეთავაზებული იყოს ქართული ენის სავალდებულო კომპონენტი, რათა სტუდენტებმა შეძლონ ნებისმიერი სახის ბაზრის კვლევის ჩატარება, მომხმარებლებთან კომუნიკაცია და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდები ასახავენ დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამებში წარმოდგენილია სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების ჩამონათვალი, რომელიც განსხვავდება პროგრამის სპეციფიკის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით. ასევე, ცალკეულ სილაბუსში მითითებულია მხოლოდ ის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. კატალოგის განახლება ხორციელდება პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებ - გვერდზე.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების დახმარებით, უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების სხვადასხვა მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიურ მზაობას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში მათ შეუფერხებელ

ჩართულობას. პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მათ აქვთ ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტებთან მუშაობაშის და ინდივიდუალური პროგრამების შეთავაზების გამოცდილება. მარეგულირებელი დოკუმენტაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროცესში ინდივიდუალური მიდგომის დანერგვისა და სტუდენტის მხარდაჭერისათვის მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შემუშავება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წინაპირობა შეიძლება იყოს: ა) საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების უუნარობა; ბ) სტუდენტის სხვადასხვა მოთხოვნების გათვალისწინება (გარე და შიდა მობილობის შემთხვევა, სტუდენტის აკადემიური მომზადების სხვადასხვა დონე); გ) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევა, უნივერსიტეტი სტუდენტს უზრუნველყოფს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობით. სტუდენტმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ სკოლას. სკოლის ადმინისტრაცია სტუდენტის მონაწილეობით განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს და გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სტუდენტის დატვირთვა წელიწადში შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს შესაბამის სწავლება-სწავლის და შეფასების ფორმატებს სხვადასხვა მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით, ასევე ადაპტირებულ გარემოს და შესაბამის ადამიანურ რესურსებს. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი ითვალისწინებს პოლიტიკის გეგმებს და პროცედურებს და აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს ძლიერ მხარდაჭერას.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების სტუდენტების 95% უცხოელია, მნიშვნელოვანია მათთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. უნივერსიტეტი მათ სთავაზობს მხარდაჭერას და სპეციალურ მექანიზმებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ადაპტაცია ჯანდაცვის სისტემაში და კულტურულ გარემოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები;
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულების კარიერული (მათ შორის პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი) და აკადემიური განვითარების მონიტოინგი;
- სტუდენტების აკადემიური მიღწევების მონიტორინგის შედეგები;

- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი: newvision.ge;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ინჟინერიის მენეჯმენტის პროგრამა შეესაბამებოდეს მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელს და სპეციალობის საგნებს დაემატოს მარკეტინგი, პროექტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს გარემო, რისკები, მიწოდების ჯაჭვი/ლოგისტიკა და ორგანიზაციული მართვა.
- რეკომენდებულია, მედიცინის პროგრამის სასწავლო კურსებში კვლევის მეთოდოლოგია I და კვლევის მეთოდოლოგია II (მათ შორის ბიოსტატისტიკა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა), კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და შესაბამისად გაიზარდოს განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა.
- რეკომენდებულია, ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამაში გაიზარდოს ფინანსების და დაზღვევის, პროექტების მართვის და ჯანდაცვის ახალი ტექნოლოგიების შინაარსი.
- რეკომენდებულია, პროგრამების სასწავლო გეგმებში აისახოს პროგრამის წინაპირობები.
- რეკომენდებულია, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს (მედიცინის პროგრამის გარდა) დაემატოს ქართული ენის სწავლების სავალდებულო კომპონენტი.

რჩევები:

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს კონკრეტული კომპეტენციის სფეროებს, ვინაიდან აღნიშნული უზრუნველყოფს მეტ სიცხადეს და აქტუალობას ვიდრე ცოდნის, უნარების და პროფესიული დამოკიდებულების შესაბამისობა ზოგად სფეროებთან. კარგად განსაზღვრული კომპეტენციების სფეროები უფრო ეფექტურად იქნება დაკავშირებული ეროვნული კვლაიფიკაციების ჩარჩოსთან.
- სასურველია, ინოვაციების მენეჯმენტის აღმასრულებელ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გაიზარდოს კვალიფიკაციის განმსაზღვრელი კომპონენტების საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- სასურველია, დაკორექტირდეს ქართული ენის სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება და გაიზარდოს პროგრამის მეორე სასწავლო წელს ქართული ენის კურსების სწავლება, ვინაიდან სასწავლო კურსები ქართული ენა 1 და 2, რომლებიც ჯამში მოიცავენ 12 კრედიტს არ არის საკმარისი ქართულენოვან პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარებისთვის.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეაფასოს სტუდენტები თავიანთ მიმართულებაში პირველი წლის დასაწყისში და გაუწიოს დამატებითი მხარდაჭერა ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც მათ საშუალებას მისცემს უსაფრთხოდ გააგრძელონ სწავლა პირველ წელს. აღნიშნული მიდგომა დადებითად იმოქმედოს სტუდენტების შენარჩუნებაზე და შეამცირებს გადინების მაჩვენებელს.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის წარმოდგენილი
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: „საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების“ მიხედვით, პროგრამას თან უნდა ახლდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ასევე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნული მექანიზმის გამოყენებას. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ კურიკულუმის რუკაში უნდა აისახოს, კონკრეტული სასწავლო კურსები რომელ სწავლის შედეგებს უწყობს ხელს და რა დონეზე: 1 – გაცნობა; 2 – გაღრმავება; 3 – განმტკიცება. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ პროგრამებს თან არ ერთვით რუკა, რომელიც სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ავლენს კავშირს და აღნიშნავს მათ გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების დონეებს. მხოლოდ დანართი 3.3.1-შია მოცემული განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა, სადაც პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამივე დონეზე. სამართლის პროგრამების ხელმძღვანელებთან გამართული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამები ექვემდებარება კლასტერულ აკრედიტაციას და შესაბამისი პერიოდის მოთხოვნებზე იქნება მორგებული. ეს საკითხი ასევე განხილული იყო ხარისხის კულტურის კომიტეტთან შეხვედრაზეც. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. თუმცა, გარკვეული პროგრამები წარმოდგენილი არ არის აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად. რეკომენდებულია, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლდეს მის შემადგენელ კომპონენტთა რუკა, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. სამაგისტრო საფეხურზე, სწავლის შედეგების მიღწევა უმეტესად ფასდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დროს, ხოლო სადოქტორო პროგრამაში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კვლევითი კომპონენტი ფასდება დაცვის ფარგლებში.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების განსაზღვრის შემდეგ უნდა შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც მითითებული იქნება თითოეული სწავლის შედეგის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდი, დრო, შეფასების პერიოდულობა, შემფასებელი და სამიზნე ნიშნული. შეფასების პერიოდულობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს დარგის სპეციფიკა, განათლების სწავლის შედეგები და სწავლის შედეგები.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. რეკომენდებულია, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვოდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით შეფასების გეგმა. სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისას ასევე შესაძლებელია გაუსის ნორმალური განაწილების გამოყენება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზისას რეალური მონაცემები შედარებულია სამიზნე ნიშნულებთან. დასაშვებად მიიჩნევა სამიზნე ნიშნულიდან 15%-მდე გადახრა. იმ შემთხვევაში, თუ გადახრის მაჩვენებელი 15%-ს აღემატება, მნიშვნელოვანია განხორციელდეს სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი 2–3 წლის განმავლობაში. სამიზნე ნიშნულიდან გადახრის მიზეზსა და შესაბამისი ცვლილებების საჭიროებას ადგენს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც კომპონენტის ხელმძღვანელთან და ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენლებთან კონსულტაციის საფუძველზე იღებს საჭირო ზომებს, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც პროგრამის სტრუქტურაში, ისე სასწავლო კურსების შინაარსში, ასევე სწავლების ან შეფასების მეთოდების შეცვლაში.

საბაკალავრო საფეხურზე პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგი უწყვეტად ხორციელდება ოთხი წლის განმავლობაში. სამაგისტრო საფეხურზე - ორი წლის განმავლობაში; მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - ექვსი წლის განმავლობაში; სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემთხვევაში - ხუთი წლის განმავლობაში; EMBA პროგრამის შემთხვევაში - ერთი წლის განმავლობაში; ხოლო სადოქტორო პროგრამის ფარგლებში - მინიმუმ სამი წლის განმავლობაში.

შეფასება უწყვეტი პროცესია, რომელიც აერთიანებს სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და მასზე რეაგირების ფაზებს (PDCA ციკლი). სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების შესაბამის ფორმატებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამების სწავლის შედეგები იყოფა როგორც: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწავლის შედეგების ფორმულირებისთვის გამოყენებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომია.

შეფასების სისტემა და მასთან დაკავშირებული რეგულაციები ნათლად არის აღწერილი და სრულად შეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო აქტებს.

სილაბუსებში არ არის ასახული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების კომპონენტების მიხედვით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არსებული მითითების მიხედვით, ცალკეული კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის დონე განისაზღვრება შესაბამისი კურსის სილაბუსით. თუმცა, სილაბუსების განხილვამ აჩვენა, რომ მათ უმეტესობაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ არის განსაზღვრული. აღნიშნული ინფორმაცია იძებნება მხოლოდ დოკუმენტში „საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის №3 სხდომის ოქმით; ახალი რედაქცია დამტკიცებულია 2022 წლის 3 მარტის №3 სხდომის ოქმით), სადაც აღწერილია სტუდენტთა მიღწევების შეფასების ზოგადი პირობები: „სტუდენტი დაიშვება საბოლოო გამოცდაზე, იმ შემთხვევაში, თუ ის შეძლებს დააგროვოს 51 ქულა, შუალედური შეფასებებისა და საბოლოო გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით. კომპონენტი ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი მიიღებს 51 ქულას (51%). საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება საბოლოო შეფასების 50%-ით.“

რეკომენდებულია, კურსების სილაბუსების გადახედვა და გადამუშავება, ასევე, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ასახვა როგორც პროგრამის აღწერაში, ისე ინდივიდუალური სასწავლო კურსების სილაბუსებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და სიცხადე.

რეკომენდებულია, საბოლოო გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გაზრდა, განსაკუთრებით კლინიკურ საგნებში, რათა კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ კლინიკური პრაქტიკისა და პაციენტის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი სტანდარტები.

ასევე, რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კლინიკური უნარების შეფასებას OSCE გამოცდის საშუალებით, განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები გამოცდის სადგურებისთვის და ასევე დროის მართვის პირობები, რადგან ზოგიერთ სილაბუსში OSCE გამოცდისთვის განსაზღვრულია მხოლოდ 30 წუთი.

ბიზნესის სკოლის (ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის გარდა), ასევე, მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებზე რეკომენდებულია შეფასების ქულების შინაარსის დეტალური განმარტებები აისახოს სილაბუსებში. ასეთი დეტალური განმარტების მიწოდება ხელს შეუწყობს შეფასების გამჭვირვალობას.

გარდა ამისა, შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კურსის ლექტორი სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის მიღწეულ მიზნებზე, აღმოჩენილ ხარვეზებსა და გაუმჯობესების გზებზე, რაც დადასტურდა პროფესორებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს. სტუდენტი ინფორმირებულია დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ. დაწესებულებაში ფუნქციონირებს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა.

სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების შეფასების სისტემა კარგად არის განსაზღვრული და ემყარება დარგობრივ სტანდარტებსა და რეკომენდაციებს. ცოდნის, უნარებისა და შესრულების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები, მათ შორის:

●MCQs (მრავალვარიანტიანი ტესტური კითხვები)
●OSCEs (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები)
●კლინიკური შეფასების გამოცდები, როგორიცაა MiniCEX
● კლინიკური შეხვედრაზე პირდაპირი დაკვირვების გამოცდები

სტუდენტები სათანადოდ არიან ინფორმირებულები შეფასების სისტემისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ. შეფასების მექანიზმის შესახებ ისინი ინფორმაციას იღებენ ელექტრონული პორტალის, სილაბუსების, მარეგულირებელი დოკუმენტებისა და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტაციის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ყველა პროგრამის სასწავლო გეგმას თან დაერთოს სწავლების შედეგების მიღწევის დონის რუკა მისი კომპონენტების მიხედვით.
- რეკომენდებულია, თითოეულ პროგრამას თან დაერთოს პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულების საფუძველზე.
- რეკომენდებულია, ბიზნესის (ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის გარდა), მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლების პროგრამებზე დეტალურად განიმარტოს შეფასების ქულები.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს საბოლოო გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, განსაკუთრებით კლინიკურ საგნებში, რათა კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ კლინიკური პრაქტიკისა და პაციენტის უსაფრთხოებისთვის საჭირო სტანდარტები.
- რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კლინიკური უნარების შეფასებას OSCE გამოცდის საშუალებით, ასევე, საგამოცდო სადგურებისთვის უნდა განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და გაუმჯობესდეს დროის მართვაც, რადგან ზოგიერთ სილაბუსში OSCE გამოცდისთვის 30 წუთია განსაზღვრული.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს და გადამუშავდეს სასწავლო კურსების სილაბუსები და პროგრამის აღწერასა და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განისაზღვროს საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და სიცხადე.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პერსონალის მართვის ყოვლისმომცველი და სისტემური მიდგომა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ნათელი და დეტალურად დოკუმენტირებული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს როგორც თავად პერსონალის მართვის პოლიტიკას, ისე შიდა შრომით რეგულაციებსა და აფილირების პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს აკადემიური,

სამეცნიერო, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ეფექტურ რეკრუტირებას, განვითარებასა და მხარდაჭერას. აღნიშნულ პოლიტიკას მხარს უჭერს პრაქტიკული ინსტრუმენტები, როგორიცაა პოზიციების მიხედვით განსაზღვრული თანამდებობრივი ინსტრუქციები და შრომითი ხელშეკრულებები.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, დაწესებულებაში დასაქმებულია 600-ზე მეტი თანამშრომელი, მათ შორის 255 აკადემიურ პოზიციაზე, საიდანაც 206 (80%) აფილირებულია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 50%-იან სამიზნე ნიშნულს. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე 1:20-ზე ნაკლებია, პრაქტიკაში კი ეს თანაფარდობა კიდევ უფრო დაბალია; აკადემიური პერსონალი პროგრამებში ჩართული პერსნალის 30%-ზე მეტს შეადგენს. მაგისტრანტებისთვის ხელმძღვანელობის 1:5 ფარგლებშია, ხოლო დოქტორანტებისთვის კი 1:3 ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან ხელმძღვანელობას. ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა არ აღემატება 1:30 ნიშნულს, რაც ეფექტიან მომსახურებას უწყობს ხელს.

2019-2024 წლებში გამოცხადებული 691 ვაკანსიიდან აკადემიური პერსონალის 213 პოზიცია შეივსო, ხოლო პერსონალის შენარჩუნებას უწყობს ხელს განვითარების პროგრამები და კვლევითი გრანტები. ყველა თანაფარდობა აკმაყოფილებს ან აღემატება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სამიზნე ნიშნულებს და რეგულარულად მოწმდება უწყვეტი გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

დაწესებულებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თანასწორობის, მიუკერძოებლობასა და მრავალფეროვნებას. გენდერული თანასწორობის პოლიტიკა ხელს უწყობს ინკლუზიურ რეკრუტირებასა და ასეთივე სამუშაო გარემოს შექმნას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის გენდერულ ბალანსს (49% ქალი, 51% კაცი) და ხელს უწყობს ასაკობრივ მრავალფეროვნებასაც, არ ითვალისწინებს რა ასაკობრივ შეზღუდვებს რეკრუტირების პროცესში. ამასთანავე, ხელს უწყობს ახალგაზრდა პროფესიონალებისა და კარიერის ადრეულ ეტაპზე მყოფი მკვლევარების ჩართულობას, მათ შორის დოქტორანტების აქტიურ მონაწილეობას როგორც სასწავლო, ისე კვლევით საქმიანობაში. პერსონალის რეკრუტირების პროცესები კარგად არის სტრუქტურირებული და დამსახურებას ემყარება. 2019-2024 წლებში გამოცხადდა 691 აკადემიური ვაკანსია და 213 კვალიფიციური თანამშრომელი შეირჩა ღია, კონკურენტული პროცედურების შედეგად. ვაკანსიები საჯაროდ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასაქმების პორტალებზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას. აკადემიურ პოზიციებზე პერსონალის შერჩევის პროცედურები მოიცავს კვალიფიკაციის, სამეცნიერო და პედაგოგიური მიღწევების შეფასებას, ზოგ შემთხვევაში კი საჯარო ლექციებსა და ინტერვიუებსაც. ეს პრაქტიკები ითვალისწინებს აკადემიური რეკრუტირების საერთაშორისო სტანდარტებს. ანალოგიურად, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული საკვალიფიკაციო კრიტერიუმების საფუძველზე და მოიცავს დოკუმენტების შესწავლას, ინტერვიუებსა და საბოლოო შერჩევას, რომელსაც ადამიანური რესურსების სამსახური ახორციელებს.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს პერსონალის განვითარებას, მათი განვითარების გეგმის დანერგვის საშუალებით, რომელშიც შემოთავაზებულია

სტრუქტურირებული ჩარჩო როგორც გრძელვადიანი კარიერული მიზნების დასახვისთვის, ისე უნარების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის. გეგმას მხარს უჭერს რეგულარული შეფასებები, ადამიანური რესურსების სამსახურის კონსულტაციები და პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი შიდა თუ გარე აქტივობები. პერსონალის ტრენინგების თემატიკა თანხვედრაშია როგორც ინსტიტუციურ საჭიროებებთან, ისე თანამშრომელთა ინტერესებთან და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ლიდერობა, ორგანიზაციული კულტურა, ინტერესთა კონფლიქტი, კომუნიკაცია, მრავალფეროვნება და სწავლების ინოვაციური მეთოდები. აღნიშნული ძალისხმევა ასახავს ინსტიტუციის მზაობას შესაძლებლობების გაძლიერებისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ.

უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ჩართულობას როგორც კვლევით, ისე საზოგადოებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში შიდა კვლევითი გრანტების სქემების (საგრანტო კვლევითი განაცხადები) საშუალებით, რაც განაპირობებს როგორც სამეცნიერო პროდუქტიულობას, ისე პრაქტიკულ გავლენას.

აკადემიური პერსონალს დაწესებულებასთან აფილირება სპეციალური პოლიტიკის ფარგლებში შეუძლია, და მხოლოდ აფილირებულ პერსონალს აქვს აკადემიურ საბჭოში ხმის უფლება, რაც შეესაბამება საერთაშორისო მმართველობით პრაქტიკებს და ამავდროულად მხარს უჭერს ინკლუზიურ მონაწილეობას ფართო ინსტიტუციურ მიზნებში. აფილირება უზრუნველყოფს დამატებით სარგებელს, როგორიცაა კვლევითი შედეგების უნივერსიტეტის მიღწევებად აღიარება, განათლებისა და კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში აქტიური ჩართულობა, სტუდენტების ხელმძღვანელობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებული შესაძლებლობები, რასაც უნივერსიტეტის აკადემიური, კვლევითი და ინსტიტუციური რესურსები უჭერს მხარს.

მაღალი აკადემიური ხარისხის აღიარება აკადემიური საბჭოს მიერ მინიჭებული საპატიო წოდებების საშუალებითაა ფორმალიზებული, რომელთა შორისაცაა პროფესორ ემერიტუსი, საპატიო დოქტორი, აფილირებული მკვლევარი და სტიპენდიანტი (fellow) რაც ინსტიტუციის პატივისცემას უსვამს ხაზს პერსონალის წვლილისადმი და თანხვედრაშია მის ძირითად ღირებულებებთან.

აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის განაწილება და ანაზღაურება რეგულირებული და სტანდარტიზებულია უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი ჩარჩოს (ბრძანება სამუშაო დატვირთვისა და ანაზღაურების ზღვრების შესახებ) შესაბამისად, ნათლად განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. პერსონალთან ინტერვიუები და კმაყოფილების კვლევების შედეგები ადასტურებს ინსტიტუციური მხარდაჭერით, მოლოდინების სიცხადითა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით კმაყოფილების მაღალ დონეს.

NVU მკაფიო სამიზნე ნიშნულებს განსაზღვრავს პერსონალის კვალიფიკაციის, დატვირთვისა და საქმიანობისთვის. აღნიშნული შესაძლებელია რეკრუტირების გამჭვირვალე კრიტერიუმების, დატვირთვის განსაზღვრული სქემებისა და აფილირების მოთხოვნების საშუალებით. ეს ნიშნულები პირდაპირ უკავშირდება სტრატეგიულ გეგმას და მონიტორინგდება დატვირთვის სემესტრული მიმოხილვის, პერსონალის განვითარების გეგმის განხორციელებისა და კმაყოფილების რეგულარულად

ჩატარებული კვლევების საშუალებით. ინსტიტუციური მხარდაჭერა – როგორიცაა მიზნობრივი ტრენინგები, კვლევითი გრანტები და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები – უზრუნველყოფს როგორც პერსონალის შესაძლებლობების, ისე საქმიანობის სტანდარტების უწყვეტ გაუმჯობესებას.
საბოლოო ჯამში, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს 4.1 კომპონენტის მოთხოვნებს. ინსტიტუციამ ძლიერ თანხვედრას აჩვენებს ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკებსა და სტრატეგიულ მიზნებს შორის და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გამჭვირვალობას, მერიტოკრატიას, პერსონალის კეთილდღეობასა და აკადემიურ ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წესდება
- შიდა შრომითი რეგულაციები
- საგრანტო კვლევითი განაცხადი
- ვებგვერდი ვაკანსიების შესახებ
- აფილირების პოლიტიკა – საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- პერსონალის განვითარების აქტივობები
- პერსონალური განვითარების გეგმა (PDP)
- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა – შესაბამისი რეგულაციები
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- NVU-ს ვებგვერდი
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვისა და ანაზღაურების ზღვრის განსაზღვრის შესახებ ბრძანება
- გენდერული თანასწორობის გეგმა
- აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ხელშეკრულების შაბლონი
- გასაუბრება
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს პერსონალის ცნობიერება პერსონალური განვითარების გეგმის (PDP) შესახებ და განიხილოს სტრუქტურირებული და მოქნილი შემდგომი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც განვითარების პერსონალიზებულ ტრაექტორიებს დაუჭერს მხარს. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს

ინდივიდუალურ განვითარებასა და ინსტიტუციის სტრატეგიულ მიზნებს შორის თანხვედრას.

- სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით, სასურველია, ჯანდაცვის პროფესიის განათლებაზე სპეციალიზებული ერთეულის ან აღნიშნულზე კონცენტრირებული პუნქტის შექმნის შესაძლებლობის განხილვა. ასეთი სტრუქტურა სასარგებლო იქნებოდა პერსონალის განვითარების მიზნობრივი მხარდაჭერისათვისს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კლინიკური სწავლება, კურიკულუმის დიზაინი, შეფასება, ხელმძღვანელობა და პროგრამის შეფასება.
- სასურველია, დაწესებულებამ მხარი დაუჭიროს აკადემიურ პერსონალს ჯანდაცვის პროფესიის განათლების მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციების მიღებაში (მაგალითად, დიპლომისშემდეგი სერტიფიკატი ან მაგისტრის ხარისხი), რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სწავლების ხარისხს და აკადემიური ლიდერობის პოტენციალს.
- სასურველია, გაგრძელდეს პერსონალის განვითარების პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფაზე, ინსტიტუციურ ეფექტურობასა და სწავლების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მეთოდებზე, განსაკუთრებით პროგრამების ხელმძღვანელებისა და აკადემიური კოორდინატორებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი აჩვენებს აქვს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის მართვის კარგად სტრუქტურირებულ და ყოვლისმომცველ მიდგომას. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, დაწესებულებაში

დასაქმებულია 600-ზე მეტი თანამშრომელი, მათ შორის 255 ოფიციალურ აკადემიურ პოზიციაზე. პერსონალის შემადგენლობა ასახავს უნივერსიტეტის მზარდ აკადემიურ პოტენციალს და მის რეაგირებას ინსტიტუციურ და პროგრამულ საჭიროებებზე.

პერსონალის თანაფარდობების შეფასება NVU-ში:

1. **აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა:** 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, NVU-ში დასაქმებულია 254 აკადემიური და სამეცნიერო და 206 მოწვეული პერსონალი, რაც იძლევა 1:0.8 თანაფარდობას, მაშინ როცა სამიზნე ნიშნული არის 1:0.5. ეს მიუთითებს მოწვეული პერსონალის ოდნავ უფრო მაღალ წილზე სამიზნე ნიშნულთან შედარებით. სამიზნე ნიშნულის მიღწევა 2031 წლისთვის არის დაგეგმილი.
2. **აფილირებული აკადემიური პერსონალისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობის თანაფარდობა:** 460 აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან 206 არის აფილირებული, რაც ქმნის 1:2.23 თანაფარდობას, მაშინ როცა სამიზნე ნიშნული 1:2-ს შეადგენს. ეს მიუთითებს, რომ აფილირებული პერსონალის წილი ახლოსაა სასურველ ნიშნულთან და სრული თანხვედრის მიღწევა 2031 წლისთვისაა მოსალოდნელი.
3. **აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა:** სულ 206 აფილირებული პერსონალი ემსახურება 3,200 სტუდენტს, რაც 1:15.53 თანაფარდობას იძლევა, მაშინ როდესაც სამიზნე ნიშნული 1:15-ს შეადგენს. ეს მცირე განსხვავება მიუთითებს პერსონალის განაწილების თითქმის ოპტიმალურ დონეზე, ხოლო პროგნოზის მიხედვით სამიზნე ნიშნული სრულად 2031 წლისთვის იქნება მიღწეული.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, NVU-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა 460-ს შეადგენს, მათ შორის 206 აფილირებული პერსონალია, რაც იძლევა 1:2.23 თანაფარდობას, ხოლო სამიზნე ნიშნული შეადგენს 1:2. აფილირებული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა შეადგენს 1:15.53-ს, რაც ოდნავ აღემატება სამიზნე ნიშნულს 1:15 (206 აფილირებული პერსონალი და 3,200 სტუდენტი). ორივე სამიზნე ნიშნულის მიღწევა დაგეგმილია 2031 წლისთვის, რაც მიუთითებს გრადუალურ თანხვედრაზე პერსონალის განაწილების ოპტიმალურ საერთაშორისო სტანდარტებთან და ასევე პროგრამის მდგრადობაზე.

საერთო ჯამში, NVU-ს აკადემიური, მოწვეული და აფილირებული პერსონალი დაბალანსებულადაა განაწილებული როგორც სტუდენტებთან, ისე შიდა სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე ნიშნულების სრულად მისაღწევად მცირე კორექტირებები აუცილებელია, არსებული თანაფარდობები უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას, ინდივიდუალიზებულ აკადემიურ კონსულტირებასა და საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურ მართვას.

NVU-ში აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა თანხვედრაშია უმაღლესი განათლების ტიპურ პრაქტიკებთან, რომელშიც დაბალანსებულია სწავლება, კვლევა, ადმინისტრაციული მოვალეობები და პროფესიული განვითარება. აღნიშნული

უზრუნველყოფს როგორც პერსონალის მდგრადობას, ისე მათ ხელშეწყობას, ეფექტურად მიაღწიონ საგანმანათლებლო და კვლევით მიზნებს.

სამუშაო დატვირთვის განაწილება ნათლადაა განსაზღვრული და რეგულირებული. უნივერსიტეტი იყენებს ფორმალურ ჩარჩოს აკადემიური დატვირთვის სემესტრულად განაწილებისათვის, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი სკოლების საბჭოების და რატიფიცირებულია აკადემიური საბჭოს მიერ. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული მოვალეობების დაბალანსებას და ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან თანხვედრას. ჩარჩო მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კომპონენტებს, მათ შორის საუდიტორიო საათებს, სტუდენტთა შეფასებას, სასწავლო გეგმის შემუშავებას, აკადემიურ კონსულტირებას, კვლევასა და უნივერსიტეტის სერვისებს.

აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვისა და ანაზღაურების ზღვრების განსაზღვრის შესახებ ბრძანებით, ნორმატიული დატვირთვა განისაზღვრება წლიურად 1760 საათით სრული განაკვეთისთვის და 880 საათით ნახევარი განაკვეთისთვის. აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულია მნიშვნელოვან კვლევით საქმიანობაში, შეიძლება ერთი სემესტრით გათავისუფლდეს სწავლებისგან, რათა სამეცნიერო შედეგებზე ორიენტირდეს. მსგავსი მოქნილობა ხელს უწყობს კვლევით პროდუქტიულობასა და ჯანსაღ აკადემიურ გარემოს. აღიარებულია ადმინისტრაციული მოვალეობებიც და მისი გათვალისწინებით, შესაბამისად კორექტირდება სასწავლო დატვირთვა - როგორც წესი, 50%-ით მცირდება - რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას და ეხმარება გადატვირთვის თავიდან აცილებაში.

სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა სათანადოდაა ინტეგრირებული სამუშაო დატვირთვის სტრუქტურაში. პროფესორ-მასწავლებლები ჩართულები არიან საგრანტო განაცხადების მომზადებასა და განხორციელებაში, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მენტორობაში, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და სამეცნიერო კონფერენციებში. ეს კომპონენტები ოფიციალური სამუშაო დატვირთვის კალკულაციის ნაწილია, რაც თანამშრომლებს ახალისებს აქტიურად შეუწყონ ხელი უნივერსიტეტის კვლევით მისიას.

მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარეობს და თანხვედრაშია პედაგოგიურ და პრაქტიკულ საჭიროებებთან. მათი ჩართულობა რეგულირდება საათობრივ ხელშეკრულებებით, ხოლო დატვირთვა კორექტირდება სწავლების მოთხოვნებისა და სხვა სამუშაო ადგილებზე მათი დასაქმების გათვალისწინებით. უნივერსიტეტი ინარჩუნებს სამუშაო დატვირთვის ბალანსს, აკადემიური პერსონალის გარე აფილირებების გათვალისწინებით, გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად და სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

NVU პერსონალის საჭიროებებს გეგმავს ჩარიცხვის ტენდენციებისა და პროგრამის სპეციფიური მოთხოვნების საფუძველზე, რითაც უზრუნველყოფს მდგრადობასა და პერსონალისა და სტუდენტების ადეკვატურ თანაფარდობას. აფილირებული აკადემიური პერსონალის გამოყენება, რომლებიც აკადემიური პერსონალის დაახლოებით 80%-ს შეადგენენ, უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის ფუნქციების უწყვეტობას და გრძელვადიან თანამშრომლობას ინსტიტუციასთან.

თითოეული კატეგორიის პერსონალის წლიური კმაყოფილების კვლევა უზრუნველყოფს სამუშაო დატვირთვასა და პირობებზე უკუკავშირს. შედეგები გამოიყენება პოლიტიკის დახვეწისა და პერსონალის კეთილდღეობის მხარდასაჭერად, რაც მიუთითებს უწყვეტი გაუმჯობესებისა და რეაგირებადობის მიმართულებით უნივერსიტეტის ძალისხმევაზე. საერთო ჯამში, NVU აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, უზრუნველყოფს რა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და მათი სამუშო დატვირთვის შესაბამისობას, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, ასევე სხვა მინიჭებული ფუნქციების განხორციელებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წესდება • შიდა შრომითი რეგულაციები • პერსონალის მართვის პოლიტიკა – შესაბამისი რეგულაციები • აფილირების პოლიტიკა -საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება • აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვისა და ანაზღაურების ზღვრების განსაზღვრის შესახებ ბრძანება • პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა • ხელშეკრულებების ნიმუშები • გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაგრძელდეს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტების დახვეწა (მაგალითად, კმაყოფილების კვლევებისა და დატვირთვის მონიტორინგის მეშვეობით). მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დატვირთვის განაწილება კარგად არის სტრუქტურირებული, აღნიშნულის საშუალებით, უფრო უკეთ იქნება შესაძლებელი პოტენციური დისბალანსის წინასწარ გამოვლენა და რესურსების ოპტიმიზება აკადემიურ ერთეულებში.
რჩევები: • სასურველია, NVU-მ განიხილოს თავისი პერსონალის მართვის ჩარჩოს კიდევ უფრო მეტად დაახლოება დარგობრივ მახასიათებლებთან, ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, სპეციფიური მოთხოვნების ჩართვით, განსაკუთრებით სამედიცინო სფეროში. ეს შეიძლება მოიცავდეს მედიცინის მიმართულებით აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების შეთავაზებას სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში მინიმუმ ორი წელიწადში ერთხელ. • სასურველია, NVU-მ, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის, განიხილოს სტრუქტურირებული კონცეფციისა და გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომლის აქცენტიც იქნება სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი და სტუდენტთა შედეგები.

• სასურველია, სამუშაო დატვირთვის დაგეგმვის სისტემის შემდგომი გაძლიერება, ინდივიდუალური აკადემიური დატვირთვის რეგულარული გადახედვისა და კორექტირების მექანიზმების გაძლიერებით, ასევე მიმდინარე ინსტიტუციური საჭიროებების, პროგრამული მოთხოვნებისა და პერსონალის უკუკავშირის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: NVU-ს ნათლად აქვს განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და წინარე განათლების აღიარების წესები (საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება). აღნიშნული რეგულაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე და

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მას გაეცნოს. სტუდენტებმა ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან ამ წესების შესახებ. მათი თქმით, სემესტრის პირველ კვირაში ტარდება საორიენტაციო შეხვედრები. სტუდენტებს მიენიჭებათ კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომლის საშუალებითაც ისინი უკავშირდებიან NVU-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს და იღებენ ინფორმაციას. იგივე ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, ისინი რეგისტრირდებიან ელექტრონულ სასწავლო პორტალზე, რომელიც უნივერსიტეტის მიერაა შემუშავებული. პირველივე კვირაში სტუდენტები გადიან ტრენინგს ელექტრონული პორტალის გამოყენების შესახებ, იცნობენ პერსონალს, შეფასების სისტემას და უნივერსიტეტის რეგულაციებს. პორტალის მეშვეობით ისინი ირჩევენ სასწავლო კურსებს, მონაწილეობენ კვლევებში, ამოწმებენ ქულებს და ა.შ.

საბაკალავრო ან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან მობილობის გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. ჩარიცხვისათვის ასევე საჭიროა ინგლისური ენის B2 დონის საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება. პირები, რომლებმაც მიიღეს ბაკალავრის ხარისხი ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ფლობენ ინგლისური ენის ისეთ საერთაშორისო სერტიფიკატს, რომელიც აღიარებულია ენების ფლობის საერთო ევროპული კრიტერიუმებით (მაგალითად: TOEFL iBT, IELTS, FCE და სხვ.), თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდისაგან. საერთაშორისო აპლიკანტებთან გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს ონლაინ ფორმატში.

სადოქტორო საფეხურზე:

a) ხელმძღვანელის თანხმობა.
b) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კანდიდატმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ან სხვა ევროპული ენის (გერმანული, ფრანგული) მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისური ენის ცოდნა დადასტურებულია B1 დონეზე, წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს B1 დონის კომპეტენციას.
c) სამუშაო პროცესებში ჩართულობის, პუბლიკაციების და/ან შესაბამისი სფეროს სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა და/ან არანაკლებ ორიწლიანი სამუშაო გამოცდილების დადასტურება შესაბამის სფეროში.
d) ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ჰოსპიტალის სამედიცინო ეთიკის კომისიის, ან სხვა აღიარებული უფლებამოსილი ორგანოს (კომისია/კომიტეტი/საბჭო) დასკვნის წარდგენა, რომელიც ადასტურებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი დისერტაციის შესაბამისობას ბიოეთიკის

სტანდარტებთან. ჩარიცხვის შემდეგ დისერტაციის თემის შეცვლის შემთხვევაში აუცილებელია ბიოეთიკის განახლებული დასკვნის წარმოდგენა.

e) საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დადგენილი დამატებითი კრიტერიუმის/კრიტერიუმების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა ან მოთხოვნილი უნარ(ბ)ის დემონსტრირება.

უნივერსიტეტი აღიარებს შემდეგ საერთაშორისო გამოცდებსა და ქულებს:

ტესტი	B2 საფეხურის შესაბამისი ქულა
EF SET	51 - 60
IELTS	5.5 - 6.0
TOEIC (R&L) Total	785 - 940
Cambridge English Scale	160 - 179
TOEFL iBT	72 - 94
Global Scale of English (Pearson)	59 - 75

სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა განსაზღვრული ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასურის გადახდის პროცედურა და სხვა აუცილებელი იურიდიული რეგულაციები. ხელშეკრულება იცავს სტუდენტების ინტერესებს და არ არის ერთპიროვნულად უნივერსიტეტზე მორგებული. როგორც აღინიშნა, სტუდენტები სწავლის დაწყებამდე ეცნობიან ნორმატიულ დოკუმენტებს. ხელშეკრულება შეიცავს პუნქტს, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სწავლის საფასური ნაწილ-ნაწილ დაფარონ.

ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის ძალიან ღია ურთიერთობა არსებობს. ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ საკითხზე ესაუბროს შესაბამის პირს ან მისწეროს ელექტრონული ფოსტა. სტუდენტებისთვის მოქნილი გრაფიკის უზრუნველსაყოფად NVU-ს შეუძლია შესთავაზოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სწავლა.

სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით ფუნქციონირებს სტუდენტთა კონსულტაციისა და ადვოკატირების სამსახური.

სამსახურის საქმიანობა ეფუძნება ეთიკურ პრინციპებსა და ისეთ ძირითად ღირებულებებს, როგორიცაა მრავალფეროვნება, თანასწორობა, მიუკერძოებლობა და უსაფრთხოება. მისი მთავარი მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა და ადვოკატირება, რაც მოიცავს სტუდენტთა საჩივრებისა და მიმართვების განხილვას. სტუდენტთა კონსულტაციისა და ადვოკატირების სამსახური შედგება სტუდენტთა კონსულტაციისა და ადვოკატირების ოფიცრისა (ომბუდსმენი) და კოორდინატორებისგან. ომბუდსმენის მთავარი მოვალეობაა სტუდენტთა უფლებების დაცვა უნივერსიტეტში და მათი პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობა. სამსახური ასევე მონაწილეობს სხვადასხვა საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივის შემუშავებაში, რომლის მიზანია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლება. სტუდენტებს შეუძლიათ ონლაინ დაჯავშნონ შეხვედრა სტუდენტთა კონსულტაციისა და ადვოკატირების სამსახურთან, მათთვის სასურველი დროისა და ფორმატის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • NVU-ს წესდება • სტუდენტთა უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მექანიზმი – საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება • სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში • უნივერსიტეტის ვებგვერდი • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები • განხორციელებული სტუდენტური აქტივობები • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

NVU სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებას, მათი სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად. საკონსულტაციო სერვისების მიწოდება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად ან დისტანციურად (ონლაინ) განხორციელდეს. NVU-ს გააჩნია მექანიზმი, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ LMS-ის (სასწავლო მართვის სისტემა) მეშვეობით ონლაინ გაასაჩივრონ თავიანთი ქულები. აღნიშნული პროცესის არსებობა დადასტურებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ.

NVU საერთაშორისო სტუდენტებს ეხმარება უნივერსიტეტის ცხოვრებაში ინტეგრაციაში. სწავლების დასაწყისშივე ადმინისტრაცია პირველი კურსის სტუდენტებთან მართავს შეხვედრებს, სადაც მათ აწვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც სწავლის პერიოდში და დასრულების შემდეგ არის მნიშვნელოვანი. NVU-ს ასევე აქვს სპეციალური კურსები კურსდამთავრებულებისთვის, რომელიც მათ სხვადასხვა ქვეყანაში დასაქმების კრიტერიუმები დაკმაყოფილებაში ეხმარება. ამ მიზნით, უნივერსიტეტი სთავაზობს ექსტრაკურიკულარულ ტრენინგებს, რომლებიც სავალდებულოა მათი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ზემოთ აღნიშნული სერვისების გარდა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია სხვადასხვა საკითხზე და ასევე მიიღონ ინფორმაცია სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. უნივერსიტეტს ასევე აქვს სხვადასხვა სერვის-ცენტრები, როგორიცაა:

იურიდიული დახმარების სამსახური ბენეფიციარებს სთავაზობს უფასო იურიდიულ დახმარებას, რაც ზრდის კვალიფიციურ იურიდიულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. ეს სამსახური ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და სხვა სამართლის სკოლების სტუდენტებს

ასევე სთავაზობს პრაქტიკული სწავლების უნიკალურ შესაძლებლობას, რაც მათ საშუალებას აძლევს თეორიული ცოდნა რეალურ საქმეებზე მუშაობაში გამოიყენონ. სტუდენტები პრაქტიკულ უნარებს იძენენ სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში.

სტუდენტთა კეთილდღეობის ცენტრი სთავაზობს უფასო ფსიქოლოგიურ კონსულტაციას. ამ სერვისების მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტთა ემოციურ კეთილდღეობას, ეფექტურად მართოს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის აკადემიურ პროგრესს და გააუმჯობესოს მათი ცხოვრების საერთო ხარისხი. ცენტრი უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, რომელიც პატივს სცემს ინდივიდუალურ და კულტურულ განსხვავებებს და ფოკუსირდება ფსიქიკური ჯანმრთელობის იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც სტუდენტები დგანან.

კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სამსახური უნივერსიტეტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებას. მისი მთავარი მიზანია კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კავშირის შექმნა და უნივერსიტეტის სხვადასხვა აქტივობაში მათი აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა. თუმცა, ინტერვიუების დროს კურსდამთავრებულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი არ მონაწილეობდნენ პროგრამის შეფასებაში ან უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სხვა პროცესებში.

სერვისების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ყოველწლიურად ტარდება გამოკითხვები უნივერსიტეტის სერვისების შესახებ, რომლებიც აფასებს მატერიალურ რესურსებს, გარემოს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს. როგორც დეკანებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს ინტერვიუების დროს, სტუდენტთა შეფასების ფორმების ანალიზის შემდეგ სასწავლო გეგმაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა.

უნივერსიტეტი სტუდენტებს ხელს უწყობს საერთაშორისო მობილობასა და პროექტებში მონაწილეობაში. ამ მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შესაბამის გაცვლითი პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაცვლითი პროგრამების შეთავაზებისათვის NVU-ს გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმები სხვადასხვა ევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლებიც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტში ექსტრაკურიკულარული აქტივობების შეთავაზების მიზნით ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მათი მთავარი მიზანია საერთო ინტერესების მქონე სტუდენტების გაერთიანება და მათთვის დამატებითი შესაძლებლობების შექმნა პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის. ამ კლუბებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ სოციალური კავშირების გაძლიერებაში და ხელს უწყობენ ძლიერი სტუდენტური ქსელის შექმნას, აგრეთვე წევრებს საშუალებას აძლევენ, აქტიური ჩართულობის გზით განივითარონ პრაქტიკული და ლიდერული უნარები.

კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა გრძელდება უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც. NVU თვალყურს ადევნებს მათ პროგრესს და აგროვებს მონაცემებს იმის შესახებ, არიან თუ არა დასაქმებულები კვალიფიკაციის შესაბამისად ან აგრძელებენ თუ არა სწავლას. ავტორიზაციის ბოლო პერიოდის მონაცემებით, NVU-ს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი მაღალია:

- მედიცინის სკოლა – 86%
- სტომატოლოგიის სკოლა – 88%
- სამართლის სკოლა – 86%
- პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლა – 80%
- ბიზნესისა და გამოყენებითი მეცნიერებების სკოლა – 80%
- განათლების სკოლა – 95%

NVU ითვალისწინებს სტუდენტთა სოციალურ მდგომარეობას და სთავაზობს დაფინანსებისა და შიდა გრანტების შესაძლებლობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სასკოლო ოლიმპიადა, რომლის მიზანიც აბიტურიენტების მოზიდვაა. ოლიმპიადის გამარჯვებულები იღებენ მნიშვნელოვან ჯილდოებს, მათ შორის უნივერსიტეტში სწავლის სრული დაფინანსების შესაძლებლობას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც შიდა დაფინანსება მიიღეს.





ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტებისთვის შემუშავებული აქვს სპეციალური ფასდაკლების სისტემა, რომელიც შიდა სასწავლო სტიპენდიების სახით ხორციელდება. ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სტიპენდიის მიმღები საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით.

თუ სტუდენტებს ერთდროულად არ აქვთ სწავლის სრული საფასურის გადახდის შესაძლებლობა, მათ შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილ.



მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით ჩატარებული კვლევებისა და შეფასებების შედეგების ანალიზი
- სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- უნივერსიტეტის პორტალი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: • სასურველია, გაძლიერდეს კურსდამთავრებულებთან კავშირები და ისინი მეტად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა პროცესებში.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრაქტიკულ, ინტერდისციპლინურ და საერთაშორისო დონეზე ორიენტირებულ კვლევას. უნივერსიტეტი ახორციელებს ფართომასშტაბიან, დარგობრივ კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას სხვადასხვა დისციპლინაში, მათ შორის მედიცინაში, სამართალში, განათლების მეცნიერებებში, ბიზნესსა და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში. კვლევითი პრიორიტეტები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისია-ხედვასთან და საზოგადოებრივ საჭიროებებთან, რაც ხელს უწყობს როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევითი ინიციატივების განვითარებას.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა მკაფიოდ განსაზღვრავს მკაფიო მიზნებს კვლევის ხარისხისა და პროდუქტიულობის გასაძლიერებლად, ადრეულ კარიერულ ეტაპზე მყოფი მკვლევარების მხარდასაჭერად, კვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად. აღნიშნული სტრატეგიული პრიორიტეტები ხორციელდება სპეციალიზებული აკადემიური ერთეულების, თანამედროვე კვლევითი ინფრასტრუქტურისა და მხარდაჭერის მიზნობრივი მექანიზმების მეშვეობით (კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 30,000,000 ლარს).

NVU-ს კვლევითი დღის წესრიგი რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს:

- ბიომედიცინა და სიცოცხლისშემსწავლელი მეცნიერებები, განსაკუთრებული აქცენტით 4D ბიოსამედიცინო გაშუქებაზე, რიბოსომული გენების კვლევებზე, კიბოს დიაგნოსტიკაზე, ქსოვილების ინჟინერიაზე, ნეირობიოლოგიაზე, რადიობიოლოგიაზე და ბაქტერიოფაგურ თერაპიაზე. კვლევას მხარს უჭერს მაღალი დონის თანმედროვე ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გენეტიკის მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორია (რომელიც იყენებს ახალი თაობის სეკვენირების ტექნოლოგიას), Carl Zeiss-ის მიკროსკოპიის ცენტრი და ცოცხალი უჯრედის კულტურის უნიკალური ბანკი.
- **სოციალური ტრანსფორმაცია ფეხბურთის მეშვეობით** – იკვლევს ფეხბურთს როგორც „რბილი ძალის“ ფორმას ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა საზოგადოებრივი ჩართულობა, სოციალური მობილობა, ქალთა გაძლიერება, ჯანმრთელობა და ინტერკულტურული დიალოგი.

საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის №3 სხდომის ოქმით; ახალი რედაქცია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 3 მარტის №3 სხდომის ოქმით) განსაზღვრავს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ზოგად წესებს.

NVU ახორციელებს აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამებს სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, მედიცინაში, სამართალში, განათლების მეცნიერებებსა და ბიზნესის ადმინისტრირებაში. სადოქტორო კვლევები აქტიურად ხორციელდება კვალიფიციური ხელმძღვანელების, საერთაშორისო პარტნიორობებისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის მხარდაჭერით.

- **სიცოცხლისშემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა** მოიცავს მიკრობიოლოგიას, ფაგოთერაპიას, ნეირომეცნიერებასა და რადიობიოლოგიას, განსაკუთრებული აქცენტით ტრანსლაციურ კვლევებზე.
- **მედიცინის სადოქტორო პროგრამა** მოიცავს როგორც კლინიკურ, ისე ფუნდამენტურ კვლევებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტრავმატოლოგია, კარდიოლოგია, ანესთეზიოლოგია, ოფთალმოლოგია, პედიატრია და გინეკოლოგია.
- **სამართლის სადოქტორო პროგრამა** ფოკუსირებულია იურიდიულ ეთიკაზე, შრომით სამართალზე, გენდერული ნიშნით ძალადობასა და მომხმარებელთა დაცვაზე,

რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო თანამშრომლობებით (მაგალითად: USAID, გრაცის უნივერსიტეტი, OeAD).

- **განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა** იკვლევს განათლების ციფრულ ტრანსფორმაციას, ხელოვნურ ინტელექტს, გეიმიფიკაციასა და ვირტუალური რეალობით გამდიდრებულ სწავლებას.
- **ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა**, რომელმაც ახლახანს მიიღო აკრედიტაცია, აერთიანებს ფეხბურთის კვლევებს და ხელს უწყობს კვლევითი უნარების ადრეულ ეტაპზე განვითარებას.

დოქტორანტის ხელმძღვანელობა რეგულირდება **საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებით.** ხელმძღვანელები უნდა იყვნენ აქტიური მკვლევარები, რომელთაც უახლეს პერიოდში გააჩნიათ საერთაშორისო პუბლიკაციები, ხოლო ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1:3-ს. დისერტაციის დაცვის წინაპირობაა დოქტორანტის მიერ მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთის საერთაშორისო რეცენზირებულ ჟურნალში.

დისერტაციის დაცვის პროცესი სტრუქტურირებულია, გამჭვირვალე და თანხვედრაშია საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან. ის მოითხოვს საგანმანათლებლო და კვლევითი მოდულების წარმატებით დასრულებას, ხელმძღვანელის რეკომენდაციას, ორი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასებას (მათ შორის ერთი მაინც უნდა იყოს საერთაშორისო შემფასებელი) და, საჭიროების შემთხვევაში, ეთიკური ნებართვის მიღებას. პროცესი ასევე ითვალისწინებს გასაჩივრების ნათელ მექანიზმს, რომელიც იცავს აკადემიურ უფლებებს და უზრუნველყოფს პროცედურულ სამართლიანობას.

NVU ინარჩუნებს მტკიცე საერთაშორისო პარტნიორობას აკადემიურ და კვლევით დაწესებულებებთან გერმანიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში. სადოქტორო კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი პარტნიორ ინსტიტუტებთან ერთად ხორციელდება. დოქტორანტები და აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებსა და ერთობლივი პუბლიკაციების შემუშავებაში.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, რომლებიც მდებარეობენ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, გერმანიაში, შვეიცარიასა და სხვა. კვლევები ხორციელდება ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობით, მაგალითად: **NVGenetics** (რიბოსომული RNA-ს კვლევები), რეიმსის უნივერსიტეტი, საპიენცას უნივერსიტეტი, კატალონიის ტექნიკური უნივერსიტეტი. დამატებით აღსანიშნავია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და USAID სამართლისთვის, ასევე შრომის ბაზრის კვლევები.

საანგარიშო პერიოდში დაცული იყო 20 სადოქტორო დისერტაცია – 13 მედიცინაში და 7 სამართალში. რამდენიმე მათგანი შესრულდა საერთაშორისო თანახელმძღვანელებთან თანამშრომლობით. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია მრავალი საერთაშორისო სტატიის გამოქვეყნება Scopus-სა და Web of Science-ში ინდექსირებულ რეცენზირებულ ჟურნალებში.

NVU აქტიურად უწყობს ხელს კვლევების გავრცელებას დაწესებულების ვებგვერდის საშუალებით, სადაც პუბლიკაციები, დისერტაციები და აკადემიური ნაშრომები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

აღნიშნული პრაქტიკები ადასტურებს NVU-ს მზაობას, ხელი შეუწყოს ინტერნაციონალიზებულ და კვლევაზე ორიენტირებულ აკადემიურ გარემოს, რაც უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის აქტუალობას, გამჭვირვალობასა და შედეგიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025–2031
- ა(ა)იპ – ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება
- კვლევითი საქმიანობის წახალისების შესახებ რეგულაცია
- დანართი 6.1. 2019–2024 – მკვლევართა სია: აფილირებული პერსონალი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კვლევითი უნარებისა და ეთიკის შესახებ რეგულარული ტრენინგების შეთავაზება.

რჩევები:

- სასურველია, შემუშავდეს კვლევების განხორციელების დარგობრივი სახელმძღვანელოები, რათა კვლევითი საქმიანობა ეროვნული და საერთაშორისო პრიორიტეტების შესაბამისი იყოს.
- სასურველია, საერთაშორისო თანახელმძღვანელობისა და ერთობლივი კვლევების წახალისება, სადოქტორო ხარისხისა და გლობალური ინტეგრაციის გასაძლიერებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი

საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: NVU-ს ჩამოყალიბებული აქვს კვლევითი, ინოვაციური და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ყოვლისმომცველი და ეფექტური სისტემა. კვლევა უნივერსიტეტის ხუთ სტრატეგიულ პრიორიტეტს შორის ერთ-ერთია და მისი განვითარება სისტემატურადა ინტეგრირებული ინსტიტუციური განვითარების გეგმაში. NVU-ში ფუნქციონირებს სტრუქტურირებული შიდა საგრანტო მექანიზმი, რომელიც მხარს უჭერს როგორც ერთწლიან, ისე სამწლიან სამეცნიერო პროექტებს და იძლევა წინასწარი საპილოტე კვლევების განხორციელების საშუალებასაც. პროექტებს აფასებს კვლევისა და ინოვაციების კომიტეტი და მათ საერთაშორისო ექსპერტებიც განიხილავენ, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ სიმკაცრესა და გარე ვალიდაციას. უნივერსიტეტი კვლევისთვის გამოყოფს სპეციალურ ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს, რომელიც მოიცავს: პუბლიკაციების მხარდაჭერას, აღჭურვილობის შესყიდვას, სამეცნიერო ღონისძიებებზე გამგზავრება და კვლევითი ჯგუფების ანაზღაურებას. დამტკიცებული პროექტები ფინანსდება კვარტალური გადარიცხვებით, რომელიც დამოკიდებულია პროგრესის კვარტალური ანგარიშების წარდგენაზე. პროექტების მართვის სამსახური ასევე უზრუნველყოფს იურიდიულ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ დახმარებას გარე გრანტების მოპოვებისა და დაფინანსებული პროექტების მართვისათვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კვლევითი პროდუქტიულობის წახალისების გამჭვირვალე და შედეგებზე დაფუძნებული. წახალისების მექანიზმები შექნილია ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციებისთვის, მონოგრაფიების ავტორობისთვის, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და პატენტების რეგისტრაციისთვის. კვლევითი მხარდაჭერის მიღების უფლება აქვთ სტუდენტებსაც, მათ შორის დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს, რაც ქმნის ახალგაზრდა მკვლევარების განვითარების უწყვეტ შესაძლებლობას. NVU აქტიურად მუშაობს მაღალკვალიფიციური, ძლიერი კვლევითი პოტენციალის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვაზე. აკადემიურ პოზიციებზე რეკრუტირება ხდება კონკურენტული პროცესების საშუალებით, სადაც შერჩევისა და დაწინაურების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს სამეცნიერო პროდუქტიულობა წარმოადგენს. ახალი თანამშრომლები ინტეგრირდებიან არსებული კვლევით პროექტებში და ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმების ფარგლებში ისინი ასევე წახალისებულები არიან წამოაყენონ საკუთარი კვლევების ინიციატივები. უნივერსიტეტი კვლევით პროექტებს აფინანსებს: კვარტალური ფინანსური მხარდაჭერითა (პროგრესის ანგარიშების საფუძველზე) და წლიური შესრულების ინდიკატორებით, რომელთა შორისაცაა პუბლიკაციები ინდექსირებულ ჟურნალებში. დაფინანსება მოიცავს

შესყიდვებს, კვლევით მასალებს, კონფერენციებზე გამგზავრებასა და ყოველთვიურ ანაზღაურებას.

ერთწლიანი და სამწლიანი პროექტებისათვის განსაზღვრულია შეფასების სქემა, რომელიც მოიცავს გარე საერთაშორისო რეცენზირებას. პერსონალისა და სტუდენტების წახალისების სისტემა კარგად არის სტრუქტურირებული და მოიცავს ქულების დეტალურ განაწილებასა და ფინანსურ ლიმიტებს (მაგალითად, ერთ აკადემიურზე წელიწადში მაქსიმუმ 5,000 ლარი). უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილი ნათლად არის გამოყოფილი კვლევის პოპულარიზაციასა და ინფრასტრუქტურაზე.

NVU ინარჩუნებს ახალგაზრდა და კარიერული განვითარების ადრეულ ეტაპზე მყოფი მკვლევარების მხარდამჭერ გარემოს. მაგალითად, თავის თანამშრომლებსა და კურსდამთავრებულებს დაწესებულება სთავაზობს ფასდაკლებას სადოქტორო პროგრამებზე სწავლის საფასურზე და ხოლო გარკვეულ ნაკადებს (მაგალითად, განათლების მეცნიერებების სადოქტორო სტუდენტები) სრულად აფინანსებს. დოქტორანტების ადრეული ჩართულობა კვლევაში უზრუნველყოფილია მენტორობის, პუბლიკაციების თანაავტორობისა და დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობის საშუალებით.

პროფესორ-მასწავლებლები და მკვლევარები პერიოდულად ფასდებიან გამჭვირვალე, ქულობრივი სისტემის საშუალებით, რომელიც მოიცავს ისეთ მეტრიკებს, როგორიცაა ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, საგრანტო აქტივობა და ინოვაციებში ჩართულობა. ეს სისტემა არა მხოლოდ მხარს უჭერს პერსონალის ანგარიშვალდებულებას, არამედ ასევე იძლევა უწყვეტი აკადემიური ჩართულობის მოტივაციასაც.

ინტერნაციონალიზაცია NVU-ში სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს და სრულად ინტეგრირებულია უნივერსიტეტის კვლევით სტრატეგიაში. კვლევა განიხილება, როგორც ბუნებრივად ინტერნაციონალი საქმიანობა, რის შესაბამისადაც NVU მუდმივად უწყობს ხელს საერთაშორისო აკადემიურ თანამშრომლობას. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ ინსტიტუტებთან, რომლებიც მდებარეობენ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში.

სადოქტორო და სამაგისტრო კვლევებში ხშირად ჩართულები არიან საერთაშორისო თანახელმძღვანელები და ასევე უცხოურ უნივერსიტეტებში ხორციელდება ერთობლივი მუშაობა დისერტაციაზე. NVU-ს არაერთ დოქტორანტს უსარგებლია სტიპენდიებით ან კვლევითი ვიზიტებით საზღვარგარეთ (მაგალითად, კარლის უნივერსიტეტში, პრაღაში; ლუიჯი ვანვიტელის უნივერსიტეტში, იტალია), რის საფუძველზეც შექმნილა ერთობლივი პუბლიკაციები და გაძლიერდა საერთაშორისო მობილობა. სამართლის, მედიცინისა და განათლების პროგრამების არაერთ დოქტორანტს ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი, მათ შორის პროფ. ანდრეა ბორონი, პროფ. საულიუს ვაიტკუსი, პროფ. სამპათ კუმარი და სხვები. სულ მცირე ათი დოქტორანტი მოიხსენიება საერთაშორისო თანახელმძღვანელებთან თანამშრომლობის კონტექსტში. ერთობლივი ხელმძღვანელობა სადოქტორო განათლების ფორმალიზებული ნაწილია.

პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და ტრენინგებში. რეგულარულად იქმნება სამეცნიერო პუბლიკაციები საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით და ქვეყნდება ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალებში. უნივერსიტეტი ასევე ახალისებს მკვლევარებს საერთაშორისო ფორუმებზე წარმოადგინონ თავიანთი მიგნებები და ჩაერთონ გლობალურ სამეცნიერო დისკურსში. NVU-ში ფუნქციონირებს პროექტების მართვის სამსახური, რომელიც მხარს უჭერს საგრანტო განაცხადებს, ფონდების მოზიდვის ინიციატივებსა და იურიდიულ კონსულტირებას. ის ასევე ეხმარება გრანტების ადმინისტრირებასა და საჭირო ანგარიშგებების წარდგენაში. სამსახური უძღვება ყოვლისმომცველ სისტემას, რომელიც მოიცავს კვარტალურ და წლიურ შეფასებებს, საერთაშორისო კოლეგიალურ შეფასებებსა და კვლევისა და ინოვაციების შიდა კომიტეტის აქტიურ ჩართულობას. გასაუბრების დროს პერსონალმა დაადასტურა, რომ რეგულარულად ტარდება ტრენინგები საგრანტო განაცხადების მომზადების, სამეცნიერო კეთილსინდისიერებისა და პროექტების შეფასების საკითხებზე (საგრანტო შეთანხმებები დანართებშია წარმოდგენილი, დამადასტურებელი მტკიცებულების სახით). ეს აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს NVU-ის კვლევითი შედეგების ხილვადობასა და გავლენას და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას გლობალურ აკადემიურ სტანდარტებსა და ტენდენციებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში • დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების შეფასების სქემა და ინდიკატორები • დაფინანსებული პროექტები – გრანტები • სადოქტორო და სამაგისტრო კვლევითი პროექტები, რომლებიც ხორციელდება უცხოელი პარტნიორების ხელმძღვანელობით ან თანახელმძღვანელობით • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: • სასურველია ახალი პროფესორ-მასწავლებლებისათვის შემუშავდეს მენტორობისა და სამუშაო ადგილზე ადაპტირების პროგრამები. • სასურველია შეიქმნას ერთობლივი კვლევითი პროგრამები და ორმაგი სადოქტორო ხარისხის ხელშეკრულებები უცხოურ უნივერსიტეტებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: NVU-მ ჩამოაყალიბა კვლევითი საქმიანობის ხარისხის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების ყოვლისმომცველი და სტრუქტურირებული სისტემა. სისტემა თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და მიზნად ისახავს კვლევის ხარისხის, ინტერნაციონალიზაციის, ინტერდისციპლინურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება რამდენიმე დონეზე, რაც მოიცავს ინდივიდუალურ აკადემიურ პერსონალს, კვლევით ერთეულებსა და სადოქტორო პროგრამებს. შეფასება მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ინდიკატორებს, როგორიცაა ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, საგრანტო დაფინანსების მოპოვება და ინოვაციებში შეტანილი წვლილი (მაგალითად, პატენტები, მონოგრაფიები). უნივერსიტეტი იყენებს შეფასების ქულობრივ მოდელს, სადაც სხვადასხვა აკადემიურ საქმიანობას ქულები აქვს მინიჭებული მათი სამეცნიერო ღირებულებისა და აქტუალურობის მიხედვით. თითოეული აკადემიური პოზიციისთვის განსაზღვრულია მინიმალური ქულების ზღვარი, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას საქმიანობის განხორციელების მოლოდინებში. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდასაჭერად, NVU-მ შეიმუსავა სპეციალური ელექტრონული პორტალი, რომელიც კრებს და აანალიზებს მონაცემებს კვლევითი პროდუქტიულობის შესახებ. პორტალი აერთიანებს ინფორმაციას კვლევით პროექტებზე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე, ახალგაზრდა მკვლევართა

ჩართულობაზე და ბიბლიომეტრიულ ინდიკატორებზე (მაგალითად, H-ინდექსი, ციტირების რაოდენობა). აღნიშნული ფუნქციონალი აძლიერებს შიდა მონიტორინგს და ხელს უწყობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

NVU ყოველწლიურად აქვეყნებს კვლევითი საქმიანობის ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს სადოქტორო დისერტაციებს (2018–2023), კვლევითი პროდუქტიულობის მონაცემებს (მაგალითად, SCOPUS-ის მეშვეობით, ვებგვერდზე გამოქვეყნებული სიების საშუალებით), მონოგრაფიებს, სტატიებსა და აფილირებული პერსონალის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს. ელექტრონული პორტალი გამოიყენება ინფორმაციის შეგროვებისა და სისტემატიზებისათვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: პროექტებში ჩართული მეცნიერების რაოდენობა, პროექტების დაფინანსება, თანამშრომლობები და პროდუქტიულობის ინდიკატორები, მათ შორის H-ინდექსი.

შეფასების შედეგები უშუალოდ უკავშირდება წახალისების მექანიზმებს. **კვლევითი საქმიანობის წახალისების შესახებ NVU-ს რეგულაცია** უზრუნველყოფს ფინანსურ ჯილდოებს გამორჩეული შედეგებისთვის. აღნიშნული მოიცავს ბონუსებს პუბლიკაციებისათვის, კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერასა და პატენტების წახალისებას. დოქტორანტები და კარიერული განვითარების ადრეულ ეტაპზე მყოფი მკვლევარები სარგებლობენ მიზნობრივი მხარდაჭერით, რომელიც მოიცავს სწავლის საფასურისგან გათავისუფლებას, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას და დაფინანსებულ პროექტებში ჩართულობას.

დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და დისერტაციის დაცვის სისტემა რეგულირებულია მაღალი აკადემიური სტანდარტების უზრუნველსაყოფად. ხელმძღვანელებმა უნდა დააკმაყოფილონ საერთაშორისო პუბლიკაციების მოთხოვნები, ხოლო სტუდენტებმა რეცენზირებულ ჟურნალებში უნდა გამოაქვეყნონ სტატიები დისერტაციის დაცვის წინაპირობის სახით. დისერტაციების შეფასებაში მონაწილეობენ როგორც შიდა, ისე გარე (მათ შორის საერთაშორისო) რეცენზენტები. უნივერსიტეტი გამჭვირვალობას უზრუნველყოფს საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის, გასაჩივრების ფორმალური მექანიზმისა და საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებელი შეფასების საშუალებით.

NVU-ის კვლევითი პროდუქტიულობა რეგულარულად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ღია წვდომის პლატფორმებზე, რაც ხელს უწყობს საჯარო ცნობიერების ამაღლებას, აკადემიურ თანამშრომლობასა და ცოდნის გავრცელებას. უნივერსიტეტი ასევე რეგულარულად ატარებს შიდა მიმოხილვებსა და დოქტორანტთა გამოკითხვებს, რათა გააუმჯობესოს სადოქტორო განათლებისა და კვლევითი გარემოს ხარისხი.

NVU-ს დანერგილი აქვს ძლიერი, გამჭვირვალე და საერთაშორისო პერსპექტივაზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მისი კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხსა და აქტუალობას. აღნიშნული სისტემა ეფექტურად უწყობს ხელს ინსტიტუციურ განვითარებას, აკადემიურ წინსვლას და საერთაშორისო ხილვადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში

• ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, განხორციელდეს კვლევითი ერთეულების გავლენის პერიოდული შეფასება.
რჩევები: • სასურველია, კვლევითი შედეგებისა და საუკეთესო პრაქტიკების ხილვადობის მეტად ხელშეწყობა.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე

პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის დროს, შემოწმდა უნივერსიტეტის უძრავი ქონება ინსტიტუციის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და დამხმარე დოკუმენტაციის შესაბამისად. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემდეგია:

1. **შპს „ნიუ ვიჟენ ინფრასტრუქტურა“** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404906125) – თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №11. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 3,962.00 კვ.მ. ფართობით (ნაკვეთის № 01.13.01.013.001); შენობები 1–2, საერთო ფართობი – 7,543.1 კვ.მ. (რეგისტრირებული განაცხადი № 892024940487).

2. **ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404987332) – თბილისი, ლუბლიანას ქ. №13 / მიხეილ ჭიაურელის ქ. №16. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის თანამფლობელობა, 50,260.00 კვ.მ. ფართობით (ნაკვეთის № 01.13.02.009.003 01/01/501); შენობა/შენობები №23, 24, 26, საერთო ფართობით – 247.32 კვ.მ. (რეგისტრირებული განაცხადი № 882023159253).

3. **შპს „ნიუ ვიჟენ სპორტული კლუბი“** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202058110) – თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №13. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი შენობებით (სართული 1–6), საერთო ფართობით – 29,322.00 კვ.მ. (ნაკვეთის № 01.13.01.012.056) (რეგისტრირებული განაცხადი № 882023957637).

4. **შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402069854) – თბილისი, ლუბლიანას ქ. №13 / მიხეილ ჭიაურელის ქ. №6. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის თანამფლობელობა, 50,260.00 კვ.მ. ფართობით (ნაკვეთის № 01.13.02.009.013 01/01/506); შენობები №1-დან №31-ის ჩათვლით, მათ შორის არასაცხოვრებელი ფართობები №23, 24 – 4 და 26, საერთო ფართობით – 1,686.22 კვ.მ., მფლობელი – ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (რეგისტრირებული განაცხადი № 882023138571).

დაწესებულების უძრავი ქონება მოიცავს ეკო-კამპუსს, რომელიც მდებარეობს ნოდარ ბოხუას ქუჩაზე და სადაც განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული ერთეულები, ბიბლიოთეკის სივრცეები, სასადილო და საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართული სხვა ობიექტები. ასევე ამ კამპუსზე მდებარეობს შპს „ნიუ ვიჟენ სპორტული კლუბი,“ რომელიც მთლიანად ეკუთვნის „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს.“

უნივერსიტეტის აქტივებში შედის ააიპ ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალიც (დაარსებული ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ), რომელიც მოიცავს ჰოსპტილის მფლობელობაში არსებულ როგორც უძრავ, ისე მოძრავ ქონებას, უნივერსიტეტსა და შპს „წმინდა ლაზარეს კლინიკას“.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს ეკუთვნის შპს „ზარაფხანა დეველოპმენტი“ (100%-იანი წილის მფლობელი არის ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი), რომელიც მდებარეობს ლუბლიანას ქ. №15-ში.

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს უზუფრუქტის უფლება თბილისში, ბოხუას ქ. №9, №11 და №11ა, ასევე ლიუბლიანას ქ. №15-ში მდებარე შენობებზე. აღნიშნული ინფრასტრუქტურა გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო, ისე კომერციული მიზნებისთვის.

ინფრასტრუქტურის შეფასება.

უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების - შენობების, აუდიტორიების, ოფისების, ჰოსპიტალების, ლაბორატორიებისა და სხვა ობიექტების - შემოწმებამ დაადასტურა, რომ სასწავლო პროცესისთვის უზრუნველყოფილია კომფორტული და სათანადო გარემო. სასწავლო და სამუშაო სივრცეები, ოფისები და ლაბორატორიები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით: კომპიუტერებით, პროექტორებით, სმარტ-დაფებით და სხვა აუცილებელი ინსტრუმენტებით.

ვიზიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ზომების შემოწმებას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე დადასტურდა შემდეგი:

ა) უნივერსიტეტი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარითა და მისი გამოყენების ნათელი ინსტრუქციებით. საგანგებო სიტუაციებში ლიფტები არ გამოიყენება; ამის ნაცვლად უზრუნველყოფილია ალტერნატიული გასასვლელები და სახანძრო შხაპები. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც დაწესებულების შესაძლებლობები არ არის საკმარისი, უნივერსიტეტი უკავშირდება გადაუდებელი დახმარების სამსახურს (112).

ბ) შენობებში თვალსაჩინოდაა განთავსებული ევაკუაციის გეგმები, რომლებიც აჩვენებს ოპტიმალურ მარშრუტებს სხვადასხვა წერტილიდან გამოსვლისათვის.

გ) იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტში სამედიცინო პროგრამები ფუნქციონირებს, მედიცინის ფაკულტეტისა და ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ნაწილს გავლილი აქვს პირველადი დახმარების კურსები. ფუნქციონირებს სპეციალური პირველადი დახმარების პუნქტი, რომელიც სათანადოდაა აღჭურვილი და ასევე ჰყავს კვალიფიციური თანამშრომელი.

დ) ობიექტზე უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შპს „ალგანთან“ თანამშრომლობის გზით (ხელშეკრულება №132013). უსაფრთხოების თანამშრომლები აკონტროლებენ ობიექტზე შესვლას, იცავენ მატერიალურ აქტივებს და უსაფრთხოების პულტიდან შეუძლიათ განგაშის სიგნალის გადაგზავნა ცენტრალიზებულ სისტემაში, რომელიც დაკავშირებულია სწრაფი რეაგირების დანაყოფთან.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს საკუთრებაში აქვს საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი და წმინდა ლაზარეს კლინიკა. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული თბილისის სხვა კლინიკებთანაც. საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი კარგად არის აღჭურვილი, ხოლო მიწოდებული სერვისების დონე თანამედროვე და მაღალი ხარისხისაა.

ამბულატორიულ კლინიკებში სათანადო სივრცეა უზრუნველყოფილი, რაც მათ შესაფერისს ხდის სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებისთვის. ჰოსპიტალის სისტემა მხარს უჭერს სტუდენტთა სწავლებას, ხოლო კლინიცისტები მიესალმებიან სტუდენტთა ყოფნას სივრცეში.

ჰოსპიტალში მოქმედი უნარების ტრენინგის ცენტრი კარგი ინიციატივაა, რომელსაც სწავლების პროცესი უშუალოდ სამუშაო გარემოში შეაქვს.

ჰოსპიტალში სტუდენტთა სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეზიდენტებიც.

სტომატოლოგიური კლინიკები და სტომატოლოგიური სიმულაციის ლაბორატორიები საკმარისია, თანამედროვეა და ადეკვატური, იმისათვის, რათა უზრუნველყოს სტომატოლოგიის პროგრამაზე არსებული სტუდენტთა რაოდენობის სათანადო მომზადება.

მთავარ კამპუსზე სიმულაციის ცენტრი აღჭურვილია მაღალი სიზუსტის სიმულატორებით. მედიცინისა და საექთნო საქმის პროგრამების სასწავლო ოთახების სივრცე და რაოდენობა მისაღებია და შეესაბამება მედიცინის სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების საერთაშორისო სტანდარტებს.

სიმულაციის ცენტრს გააჩნია სპეციალურად გამოყოფილი ადამიანური რესურსები, ტექნოლოგები და კვალიფიციური ტრენერები. ცენტრი სრულად შეესაბამება OSCE გამოცდების ჩატარების მოთხოვნებს.

კამპუსი კონტროლდება უსაფრთხოების კამერებით როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. კამერები დაკავშირებულია ინტერნეტთან, შესაძლებელია მათზე დისტანციური წვდომა და ჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში. ასევე დამონტაჟებულია მოძრაობისა და შეჭრის დეტექტორები.

ინფრასტრუქტურისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის 7.1 კომპონენტის მოთხოვნებს. ინფრასტრუქტურა მოიცავს ფოიეს, სარეკრეაციო ზონებს, სალექციო აუდიტორიებს, პროფესორ-მასწავლებლების ოფისებს, ადმინისტრაციულ სივრცეებს, სანიტარულ ობიექტებს, ბიბლიოთეკას, სწავლის სფეროზე მორგებულ ლაბორატორიებს, სასწავლო ოთახებს და არქივს. ყველა სასწავლო შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობით.

უნივერსიტეტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის საკლასო ოთახები, რომლებიც შეესაბამება სწავლა-სწავლების სტრატეგიას. აუდიტორიებისა და სტანდარტული საკლასო ოთახების გარდა, უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი სივრცე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა და მცირე ჯგუფური დისკუსიებისთვის.

ფუნდამენტური მეცნიერებების - ანატომიის, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის - ლაბორატორიები სტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისია.

კვლევითი ლაბორატორიები თანამედროვეა და აღჭურვილია მაღალი ხარისხის მოლეკულური და ციფრული გაშუქების ტექნოლოგიებით, რომელიც მოიცავს კონფოკალურ

მიკროსკოპს, ელექტრონულ მიკროსკოპს და ქსოვილების კულტივაციის ბაზას, რომლებიც გამოიყენება როგორც კვლევისთვის, ისე სტუდენტთა სწავლების პროცესისთვის. აღნიშნული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის.

დაწესებულებაში ხელმისაწვდომია პირველადი დახმარების სერვისები სპეციალური სივრცის გამოყოფისა და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე კვალიფიციური თანამშრომლის დასაქმების საშუალებით.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს ინკლუზიურ გარემოს. თითოეული კამპუსი დაგეგმილია ისე, რომ იყოს ხელმისაწვდომი, მოიცავს პანდუსებს, ადაპტირებულ ლიფტებს, ბრაილის ნიშნებით აღჭურვილ ღილაკებსა და ადაპტირებულ სველ წერტილებს. სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია რეკრეაციული სივრცეები, ავტოსადგომები, დასასვენებელი ზონები, სასადილო და სპორტული მოედნები.

საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსები სრულად ემსახურება მის საგანმანათლებლო მისიას, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ყველა პროგრამაში და ხელს უწყობს კვლევითი ინიციატივების განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დანართი N7.1.1)
- კონტრაქტები
- შენობებისა და სივრცეების გეგმები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ექსპერტთა ვიზიტის საფუძველზე შემოწმდა და შეფასდა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა. მთავარი ბიბლიოთეკა მდებარეობს ბოხუას ქ. №11-ში, ხოლო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ნიუ ვიჟენ ჰოსპიტალში (ლუბლიანას ქ. №13) და გამოიყენება სემინარული სესიებისთვის. ბიბლიოთეკა მოიცავს მრავალფეროვან ფუნქციურ სივრცეებს, მათ შორის: საკითხავ დარბაზს, წიგნთსაცავს, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის სივრცეებს, პერსონალის სამუშაო სივრცეებსა და სხვადასხვა ტექნოლოგიებით (კომპიუტერები, პროექტორები, ასლის გადაღებისა და სკანირების აპარატურა და ა.შ.) აღჭურვილ ოთახებს. ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერს აქვს წვდომა ინტერნეტზე, მათ შორის უკაბელო კავშირის საშუალებით. ბიბლიოთეკა თანამედროვეა, გააჩნია სათანადო სივრცე და ქმნის კარგ სასწავლო გარემოს. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიუჯეტი მუდმივად მზარდია. ელექტრონულ ბაზები მოიცავს Elsevier-სა და სამედიცინო ჟურნალებს მკვლევარების და ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკის სერვისების შეფასება ყოველწლიურად ხორციელდება ხარისხის კულტურის კომიტეტის მიერ ჩატარებული კვლევებით. სტუდენტებისა და ფაკულტეტის კმაყოფილების მაჩვენებელი 80%-ს აღემატება. NVU-ს აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნული პოლიტიკის მიხედვით, სტუდენტებს ბიბლიოთეკის გამოყენება შეუძლიათ ყოველდღიურად 09:00-დან 22:00 საათამდე, ხოლო წინასწარი შეთანხმებით - 24 საათის განმავლობაში. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სასემინარო ოთახი ხელმისაწვდომია ყოველდღიურად 10:00-დან 19:00 საათამდე, ხოლო წინასწარი შეთანხმებით, 22:00 საათამდე. რეგულაციები ასევე განსაზღვრავს საბიბლიოთეკო მასალების გამოყენების წესებსა და მათ დაკარგვასა თუ დაზიანებასთან დაკავშირებულ შედეგებს. საბიბლიოთეკო ფონდში თავმოყრილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსები. ბიუჯეტისა და შესყიდვების დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საბიბლიოთეკო ფონდი რეგულარულად ახლდება და თანხვედრაშია დაწესებულებაში შეთავაზებულ აკადემიურ დისციპლინებთან. მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია 20,000-ზე მეტი წიგნადი ერთეული სხვადასხვა ფორმატსა და საგნობრივ სფეროში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში და წვდომა აქვს სპეციალიზებული ელექტრონული ბაზების ფართო სპექტრზე, მათ შორის:

● **ELSEVIER პლატფორმები:** ScienceDirect, Scopus, Mendeley Data, SciVal Finder. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სულ 135 ძიება.

● **სხვა ბაზები:** Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals, Development Studies e-books, Open Book Publishers E-books, Royal Society Journals Collection, SAGE Journals, European Respiratory Journal, IMechE Journals.

● **ყველაზე ხშირად გამოყენებული ბაზები:**

○მედიცინაში: PubMed და Scopus.

○ სამართალში: HeinOnline.

ბიბლიოთეკის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისა და სისტემის ფუნქციონალის გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ ELSEVIER-ისა და EBSCO-ს მონაცემთა ბაზებზე წვდომა დისტანციურადაა შესაძლებელი ნებისმიერი ადგილიდან. დანარჩენ მონაცემთა ბაზებზე წვდომა ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია მხოლოდ კამპუსის ტერიტორიიდან, თუმცა არსებობს დისტანციური წვდომის გაფართოების გეგმები.

NVU-ს მიმოხილული აქვს მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკა და მონაცემები ადასტურებს, რომ ისინი აქტიურად გამოიყენება. მაგალითად, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 2019-2024 წლებში ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტიდან სულ 30,121 სტატია მოიძიეს EBSCO-ს სპეციალიზებულ კვლევით პლატფორმაზე. HeinOnline პლატფორმაზე სტატიების რაოდენობა 43,146-ს შეადგენდა. ასევე ხელმისაწვდომია სხვა მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკაც. მთლიანობაში, სჩანს, რომ მონაცემთა ბაზები NVU-ში სასარგებლო და აქტიურად გამოყენებადი რესურსია.

ექსპერტებმა ალბათობის პრინციპით გადაამოწმეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული აუცილებელი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, შეისწავლეს ბიბლიოთეკის კატალოგები (რომლებიც სწორად არის დალაგებული და კლასიფიცირებული) და დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო რესურსებზე წვდომას, რაც აუცილებელია აკადემიური წარმატებისა და კვლევითი საქმიანობისთვის.

ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგში ძიება შესაძლებელია ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემის მეშვეობით, ხოლო რესურსებზე წვდომა შესაძლებელია როგორც ადგილზე, ისე გატანით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მომხმარებლებს ასევე აქვთ წვდომა KOHA პლატფორმაზე, რომელიც მათ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელთან აკავშირებს და უზრუნველყოფს მაღალი დონის საინფორმაციო ტექნოლოგიებზე წვდომას.

2024 წელს უნივერსიტეტმა განაახლა ციფრულ სასწავლო რესურსებზე სტუდენტების წვდომის მეთოდი და ისინი სრულად დაინტეგრირა სტუდენტურ პორტალში.

სტუდენტებს ახლა დამოუკიდებლად, პორტალის საშუალებით შეუძლიათ რიგი სასწავლო წიგნებისა და მათი ციფრული ვერსიების ნახვა.

ბიბლიოთეკის რესურსების სრულფასოვანი გამოყენების წასახალისებლად, უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს მრავალფეროვან ღონისძიებებს, ტრენინგებსა და სემინარებს, მათ შორის:

● **საინფორმაციო წიგნიერებისა და აკადემიური კვლევის ვორქშოპები:** მოიცავს ისეთი მონაცემთა ბაზების ეფექტურ გამოყენებას, როგორიცაა JSTOR, Scopus და Google Scholar.

● **ვორქშოპები ბიბლიოგრაფიის მართვის ისეთი ინსტრუმენტების შესახებ:** პრაქტიკული სესიები Mendeley-სა და Zotero-ს გამოყენებით.

● **მონაცემთა ანალიზისა და პროგრამირების ტრენინგები:** Python-ისა და R-ის კურსები, რომლებიც მორგებულია სოციალური მეცნიერებებისა და მარკეტინგის კვლევებზე.

● **მონაცემთა ვიზუალიზაციის მასტერ-კლასები:** Tableau-სა და Power BI-ის გამოყენებით.

● **სამეცნიერო პოდკასტები:** რეგულარულად ხორციელდება და ეხება კვლევით ინსაითებს, აკადემიურ კარიერასა და ინტერვიუებს პროფესორ-მასწავლებლებთან, ზოგჯერ ხორციელდება სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.
● **ვებინარები და ონლაინ კურსები:** მათ შორის მსოფლიოს ისეთი ცნობილი ბიბლიოთეკების ვირტუალური ტურები, როგორიცაა საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და ბრიტანეთის ბიბლიოთეკა.
● **თანამშრომლობის ზონები:** სპეციალურად ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლებისთვის განკუთვნილი სივრცეები, აქტიური ზონირებით მომხმარებელთა კომფორტისთვის.

● **ინტერდისციპლინური პროექტები და ჰაკათონები:** ღონისძიებები, რომლებიც აერთიანებს სტუდენტებს სხვადასხვა სფეროებიდან, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, დიზაინი, სოციოლოგია, ერთობლივი პროექტების შესაქმნელად.

● **მედია ლაბორატორიები:** ჩაფიქრებული იმისათვის, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა იმუშაონ აუდიო და ვიდეო მასალებთან, შექმნან პოდკასტები, განახორციელონ ვიდეომონტაჟი და შეისწავლონ მულტიმედია კონტენტის შექმნის გზები.

● **ვირტუალური რეალობის (VR) ლაბორატორიები:** დაგეგმილია ბიბლიოთეკის სასწავლო შესაძლებლობების გასაფართოებლად.

NVU ასევე დებს ინვესტიციას პერსონალის განვითარებაში. ფაკულტეტისთვის მხარდამჭერი პროგრამები მოიცავს:
● **სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობის ცენტრს:** სთავაზობს რედაქტირებას, პუბლიკაციის მხარდაჭერასა და სამეცნიერო წერის კურსებს.

● **ტრენინგებს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში:** მოიცავს პლატფორმებს, როგორიცაა Moodle და Canvas, ციფრული კონტენტის ინტეგრირებას და თანამშრომლობით ღრუბლოვან ინსტრუმენტებს.

უნივერსიტეტი ინკლუზიურობის პრინციპის ერთგულია და უზრუნველყოფს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერას. ბიბლიოთეკა სთავაზობს ხელმისაწვდომ ციფრულ რესურსებსა (მაგალითად, აუდიოწიგნები, მონაცემთა სპეციალიზებული ბაზები) და სივრცეების ზონირებას, რომელიც მორგებულია ფიზიკური შეზღუდვების მქონე სტუდენტებზე. ყოველიმე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს 7.2 კომპონენტის მოთხოვნებს, და მისი რესურსები, ინფრასტრუქტურა და სტრატეგიული ინიციატივები სრულ შესაბამისობაშია ინსტიტუციის საგანმანათლებლო და კვლევით მიზნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● ბიბლიოთეკის დებულება ● ბიბლიოთეკის განვითარებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები (2021–2024) ● სტუდენტებისა და პერსონალის კვლევის შედეგები (დანართი №2.2.1) ● პარტნიორული პროექტების ფარგლებში შეძენილი ლიტერატურის სია ● ონლაინ ელექტრონული კატალოგი ● საერთაშორისო ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკა (დანართი №7.2.1) ● საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები (დანართი №3.1.1, დანართი №3.1.2) ● ტექნიკური ინფრასტრუქტურის დოკუმენტაცია ● წიგნადი ფონდის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ● საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთკო ქსელში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები(დანართი №2.3.1) ● საბიბლიოთკო რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი №7.2.2) ● მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკა (დანართი №7.2.1)
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული მასალებისა და ექსპერტთა ვიზიტის შედეგების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (NVU) შენობები აღჭურვილია სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის აუცილებელი საინფორმაციო ტექნოლოგიებით. ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეში უზრუნველყოფილია უფასო და უწყვეტი წვდომა ინტერნეტზე. ამ მიზნით, NVU-ს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სს სილქნეტთან (რეგისტრაციის ნომერი: 204566978) და საქართველოს სამეცნიერო-კომპიუტერული ქსელების ასოციაცია – გრენა-სთან, რაც უზრუნველყოფს როგორც პირველად, ისე სარეზერვო ინტერნეტ-კავშირს.

NVU საკუთარ IT ინფრასტრუქტურას, რისკებზე რეაგირებასა და წვდომის კონტროლს მართავს საინფორმაციო სისტემების მართვის პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საოპერაციო პროცედურების ფართო სპექტრს, მათ შორის: IT ოპერაციების მართვას, მომხმარებელთა ავთენტიფიკაციასა და ავტორიზაციას, დისტანციური წვდომის მართვას, ინფორმაციისა და სისტემის უსაფრთხოებას, ინციდენტებზე რეაგირებას, პაროლებისა და მობილური მოწყობილობების მართვას, ასევე სისტემის უსაფრთხო განახლებებსა და განვითარებას.

არსებობს კონკრეტული წესები, რომლებიც არეგულირებს:

- მომხმარებლის წვდომის პროტოკოლებს
- ნებადართულ პროგრამებს
- უსაფრთხო ზონების გამოყენებას

● მოწყობილობების უსაფრთხო განადგურებასა და ხელახალ გამოყენებას

● ფლეშ-მეხსიერების გამოყენების შეზღუდვებსა და კონკრეტულ ინტერნეტ-კონტენტზე წვდომას

აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემების ეფექტურ მართვასა და უწყვეტ განვითარებას.

ექსპერტთა შემოწმებისას დადასტურდა, რომ ყველა სალექციო აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორები და უზრუნველყოფილია წვდომა სპეციალურ, ტექნიკურად გამართულ კომპიუტერებზე, რომლებიც გამოიყენება ინტერნეტ-რესურსებზე წვდომისა და ლექციების წარდგენისათვის.

შექმნილია თანამედროვე საგამოცდო ცენტრი, რომელიც იტევს 350 სტუდენტს. კომპიუტერზე დაფუძნებული გამოცდების მხარდასაჭერად NVU-ს დანერგილი აქვს ცენტრალიზებული საგამოცდო პლატფორმა (nvu.examjet.net), რომელიც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ინტრანეტ-პორტალთან (online.newvision.ge).

ბიზნეს-უწყვეტობის მოთხოვნების შესაბამისად, NVU აღჭურვილია კვების უწყვეტი ბლოკებით (UPS) და ავტომატური სარეზერვო გენერატორებით, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული სერვისებისა და ინტერნეტ ინფრასტრუქტურის შეუფერხებელ მუშაობას. უნივერსიტეტის სერვერების უმეტესობა განთავსებულია „გრენას“ მონაცემთა ცენტრში, რომელშიც უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე კიბერუსაფრთხოების ზომები - მათ შორის ტემპერატურის კონტროლი და ავტომატური გამორთვის სისტემები. კრიტიკულ სერვისებთან დაკავშირებული მონაცემების დასაცავად რეგულარულად ხდება სარეზერვო ასლების შექმნა.

ადგილზე შეფასებამ დაადასტურა, რომ ინტერნეტზე წვდომა და ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ყველა მნიშვნელოვან ზონაში, მათ შორის სალექციო აუდიტორიებში, დამხმარე სივრცეებში, დერეფნებში, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებსა და სხვა ობიექტებში. NVU-ს კამპუსზე დანერგილია ცენტრალიზებული უკაბელო ქსელი როგორც სტუდენტებისთვის, ისე თანამშრომლებისათვის. უნივერსიტეტის შიდა და გარე სივრცეებში დამონტაჟებულია უკაბელო წვდომის წერტილები, რომელთა მონიტორინგი და მართვა ცენტრალიზებულად ხორციელდება.

ელექტრონული სერვისების უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად, NVU-ს კომპიუტერული ქსელი დაყოფილია შემდეგ სეგმენტებად:

● სერვერების სეგმენტი

● შიდა სერვისებისა და სტუმრების/სტუდენტების სეგმენტი

● ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის სეგმენტი

● ციფრული ტელეფონიის სეგმენტი

● უსაფრთხოებისა და მონიტორინგის სისტემების სეგმენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის კომპიუტერული, ქსელური, სერვერული და ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის მართვაზე. ამ სისტემების მართვასა და მონიტორინგზე წვდომა მხოლოდ ავტორიზებულ პერსონალს აქვს.

აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნებისთვის NVU-ს დანერგილი აქვს მრავალფეროვანი ელექტრონული სერვისები, მათ შორის სპეციალიზებული ინტერნეტ და ინტრანეტ ვებ პორტალები. უნივერსიტეტის მთავარი ვებგვერდი www.newvision.ge მუდმივად მუშაობს და ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისათვის. საიტი ორენოვანია (ქართული და ინგლისური ენები), კარგადაა სტრუქტურირებული და მომხმარებელზეა ორიენტირებული, რაც აადვილებს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას.

ვებგვერდი მოიცავს სპეციალურ განყოფილებებს, რომლებიც ეხება:

- სტუდენტურ ცხოვრებასა და ორგანიზაციებს
- ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სერვისებს
- კარიერის დაგეგმვას
- კონსულტაციასა და სტუდენტთა ადვოკატირებას
- საბიბლიოთეკო რესურსებს
- ჩარიცხვასა და სტუდენტურ სერვისებს
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას
- საზოგადოებრივ ჩართულობას
- NVU-სთან აფილირებულ კომპანიებს

გარდა ამისა, საიტი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ სტუდენტური პორტალი, დაათვალიერონ უნივერსიტეტის ბრენდირებული მაღაზია და მიიღონ სხვადასხვა სერვისები პირდაპირ ვებგვერდის საშუალებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვებგვერდი ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებზე.

ვებგვერდს ადმინისტრირებას უწევს მარკეტინგის დეპარტამენტის სოციალური მედიის მენეჯერი და ციფრული სერვისების მენეჯერი. სოციალური მედიის მენეჯერი პასუხისმგებელია კონტენტის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე, საიტის რეგულარულ განახლებასა და კონტენტის ხარისხის უზრუნველყოფაზე. საიტი აღჭურვილია ანალიტიკური ინსტრუმენტებით, რომლებიც აკვირდება მომხმარებელთა ქცევას და ამოიცნობს მათ საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას.

ავტორიზაციის სტანდარტის 7.3-კომპონენტის მიხედვით მოთხოვნილი ყველანაირი ინფორმაცია საჯაროა და თავისუფლადაა ხელმისაწვდომი ვებგვერდზე. აღნიშნული მოიცავს:

● მისიასა და ინსტიტუციურ სტრუქტურას

● საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს (მათ შორის შერჩევის კრიტერიუმებს, სწავლის შედეგებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს)

● სწავლებისა და შეფასების პროცედურებს

● აკადემიური, ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალის პროფილებს

● ელექტრონულ საბიბლიოთეკო კატალოგს

● მარეგულირებელ დოკუმენტებს

● სტრატეგიული განვითარების გეგმებს

● წლიური საქმიანობის ანგარიშებს (გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ანგარიშებისა)

● მიმდინარე და დასრულებულ კვლევით პროექტებ

● სტატისტიკურ ინდიკატორებს

● კარიერისა და მხარდაჭერის სერვისებს

უნივერსიტეტის ვებგვერდის ანალიზი ადასტურებს, რომ დაინტერესებული მხარეების ინტერესები რეგულარულად განიხილება და შესაბამისად ხორციელდება რეაგირება. NVU-ს IT და კონტენტის მართვის გუნდები მუდმივად აკვირდებიან საიტის გამოყენებას და აქტიურად თანამშრომლობენ სხვა დეპარტამენტებთან, რათა ვებგვერდი მუდმივად იყოს განახლებული და შეესაბამებოდეს ინსტიტუციურ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კონტრაქტები სერვისების პროვაიდერებთან (დანართი 7.3.1.)
- NVU -ს ვებგვერდი: https://newvision.ge/en
- ინტერვიუები შესაბამის პერსონალთან

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.4 ფინანსური რესურსი
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ამ კომპონენტში წარმოდგენილია ინსტიტუციის ფინანსური საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული მასალების აღწერა და შეფასება, განსაკუთრებით 2021–2025 წლებში. აღნიშნულ პერიოდში უნივერსიტეტის შემოსავლის წყაროები მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამებს, სამედიცინო სერვისებს, საბანკო ანგარიშებიდან მიღებულ სარგებელს, შვილობილი კომპანიებიდან მიღებულ დივიდენდებს (ROI), მესამე მხარის კონტრიბუციებს, გრანტებს, პროგრამებს, სადაზღვევო შემოსავლებსა და ა.შ. 2021–2025 წლებში ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინსტიტუციური ბიუჯეტი და ფაქტობრივი წლიური შემოსავალი მერყეობდა 60,000,000–დან 90,000,000 ლარამდე. დაფიქსირებული შემოსავლები შეადგენდა: ● 2021 – 68,525,000 ლარს ● 2022 – 65,115,000 ლარს (წინა წელთან შედარებით 2%-ით ნაკლები) ● 2023 – 54,469,000 ლარს (წინა წელთან შედარებით თითქმის 7%-ით ნაკლები) ● 2024 – 61,541,000 ლარს (წინა წელთან შედარებით თითქმის 5%-ით მეტი)

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ბალანსის შენარჩუნება უნივერსიტეტის საკვანძო სტრატეგიას წარმოადგენდა, რაც ინსტიტუციის მდგრადი ფუნქციონირების მყარ საფუძველს ქმნის.

NVU-ში ბიუჯეტირების პროცესი ხორციელდება ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში მონაწილე სუბიექტები განსაზღვრავენ საჭირო რესურსებს, რომლებიც ასახულია ინსტიტუციის ცენტრალიზებულ ბიუჯეტში. ბიუჯეტის დაგეგმვასა და ხარჯების აღსრულებას ხელმძღვანელობს ხარჯებისა და ოპერაციების კომიტეტი, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დებულების ფარგლებში, კერძოდ, 41-ე მუხლის შესაბამისად.

ეს კომიტეტი ამზადებს ბიუჯეტის დეტალურ პროექტებს, რომლებიც მოიცავს საპროგნოზო შემოსავლებს, საოპერაციო ხარჯებს, სხვა დანახარჯებსა და კაპიტალურ ინვესტიციებს. აღნიშნული პროექტები დამტკიცებისათვის წარედგინება აკადემიურ საბჭოს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ენერგეტიკული მართვისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში ყოველთვიურად წარმოადგენს შეფასებით ანგარიშებს, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას. გრძელვადიანი მონიტორინგი ხელს უწყობს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

ხარჯების სპეციფიკას აანალიზებენ სხვადასხვა შიდა კომიტეტები და საოპერაციო ჯგუფები, ახდენენ ბიუჯეტის კომპონენტების კლასიფიცირებას და ადარებენ დაგეგმილ და ფაქტობრივ ხარჯებსა და შემოსავალს. აღნიშნული პროცესი პერიოდულად მოწმდება და დადასტურებულია ექსპერტთა ვიზიტებისა და ინტერვიუების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. ფორმალური მარეგულირებელი ჩარჩო მუდმივად იხვეწება უფრო დეტალური საშუალებების შემოღებით.

NVU მთელი სასწავლო წლის განმავლობაში აქვეყნებს შესაბამის ფინანსურ ანგარიშებს, რომლებიც გამჭვირვალობას სძენს კვლევისა და სხვა ინსტიტუციური საქმიანობებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის განაწილებას: https://newvision.ge/en/policies-and-reports/reports?open

ინსტიტუციური ხარჯები

უნივერსიტეტის ხარჯები მოიცავს:

- მატერიალური რესურსების შეძენასა და შენარჩუნებას
- სამეცნიერო და კვლევით დაფინანსებას
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და აკრედიტაციას
- ბიბლიოთეკის განახლებასა და ციფრულ ტრანსფორმაციას
- სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს

● ადამიანური რესურსების განვითარებას (მათ შორის შიდა კვლევით გრანტებსა და დოქტორანტურის დაფინანსებას)

● ადმინისტრაციულ და სხვა დანახარჯებს

წლიური ხარჯებში შემდეგი იყო:

● 2021 – 52,831,000 ლარი

● 2022 – 75,262,000 ლარი (წინა წელთან შედარებით 17%-ით მეტი)

● 2023 – 66,147,000 ლარი (წინა წელთან შედარებით 7%-ით ნაკლები)

● 2024 – 55,662,000 ლარი (წინა წელთან შედარებით 7%-ით ნაკლები)

საბიუჯეტო მონაცემები აჩვენებს, რომ შემოსავლები და ხარჯები დაბალანსებულია და ასევე გათვალისწინებულია რისკების მართვის მექანიზმებიც.

კვლევისა და განვითარების ფოკუსი

ბიუჯეტის ანალიზი ცხადყოფს, რომ NVU-სათვის პრიორიტეტს წარმოადგენს პერსონალის განვითარება, სტუდენტთა მხარდაჭერა, ბიბლიოთეკის მოდერნიზება და დიგიტალიზაცია. კვლევით საქმიანობაში ინვესტიციები წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა:

● 2020–2021 – 12,010,175 ლარი

● 2021–2022 – 13,095,971 ლარი (წინა წელთან შედარებით თითქმის 1%-ით მეტი)

● 2022–2023 – 16,317,334 ლარი (წინა წელთან შედარებით თითქმის 5%-ით მეტი)

● 2023–2024 – 23,819,286 ლარი (წინა წელთან შედარებით თითქმის 2%-ით მეტი)

წარმოდგენილი მონაცემები, განსაკუთრებით კვლევის დაფინანსების ყოველწლიური ზრდა, ნათლად აჩვენებს, რომ კვლევითი საქმიანობა ინსტიტუციისთვის პრიორიტეტულია. საერთო ბიუჯეტში კვლევისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების წილი საშუალოდ 25%-ს შეადგენს და ზოგ შემთხვევაში კი აღემატება კიდეც. ეს სრულიად საკმარისია იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ინსტიტუციას აქვს განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

თუმცა, სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა. შესაბამისი ინფორმაცია ვერ მოიძებნა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ვებგვერდზე.

აუდიტი და ფინანსური მეთვალყურეობა

უნივერსიტეტი ახორციელებს სათანადო აუდიტორულ პრაქტიკებს, რათა გარანტირებული იყოს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე, კანონიერება, სისრულე და გამჭვირვალობა. ამ მიზნით, NVU-ს შესაბამისი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს ნექსია ჯორჯიასთან (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405040682), რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

აკმაყოფილებს აუდიტორული საქმიანობის მოთხოვნებს და რეგისტრირებულია შესაბამის რეესტრში (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-550338, https://www.saras.gov.ge/ka/Companies/Detail/41).

ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიამ 2021, 2022 და 2023 წლებში განახორციელა დასრულებული საანგარიშო პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდის აუდიტი ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ბიუჯეტი
- დაწესებულების ვებგვერდი
- ხელშეკრულებები (დანართი 7.1.4)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ადმინისტრაციის დებულების VI თავის, 41-ე მუხლის დაზუსტება, ბიუჯეტის ფორმირების, კონტროლის/მონიტორინგისა და გამჭვირვალობის შესახებ უფრო ზუსტი რეგულაციის შექმნის მიზნით.
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს საჯარო წვდომა ფინანსური აუდიტის შედეგებზე.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან